საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. სამშაბათი 29 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

[illegible] 1 თვით 18 მანეთი [illegible] 75 კაპ. [illegible] —1 მან. [illegible] 15 მან. [illegible] 12 ს. [illegible]

[illegible] 100 გაზ. „ერთობის" რედაქცია. [illegible] 10—12 საათამდე [illegible]

ტელეფონი 16—62.

№ 92 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 92

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საკონტროლო კომისია, დამფუძნებელ კრების სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია და თფილისის კომიტეტი, მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ 27 აპრილს ხანმოკლე და მძიმე ავათმყოფობის შემდეგ უდროოთ გამოესალმა სიცოცხლეს პარტიის დაუღალავი მუშაკი, წევრი საკონტროლო კომისიისა, დამფუძნებელ კრებისა, ფრაქციის პრეზიდიუმისა და თფილისის კომიტეტისა

რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძე

გაუბედურებული მეუღლე ფუნდუ, შვილები: მარუსია, ცუცა, მიშა და ილია, ძმის წულები სიმონი და ევგენია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობართ

ხანმოკლე ავათმყოფობით

რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძის

უდროოთ გარდაცვალებას.

ზაქარია გიორგის ძე ჩიჩუა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს

ძვირფასი მეგობრის

რაფიელ ჩიხლაძის

უდროოთ გარდაცვალებას.

ღრმათ დამწუხრებულნი: სიმამრი ალექსი, სიდედრი ივლიტა, ცოლის ძმები არტემ და სიმონ და რძალი ქსენია კალანდაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძის

უდროოთ გარდაცვალებას.

დამწუხრებულნი: და ლიდა, ძმა სანდრო, დისწული შალიკო, ქვისლები ნოე იოსების ძე, ნოე მალაქიას ძე რამიშვილები, ვასო ტუქსიშვილი, ცოლის დები: რახილი, მართა, ძაბუნა და მარო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

რაფიელ ალექსის ძე ჩიხლაძის

უდროოთ გარდაცვალებას.

ღრმად დამწუხრებულნი: გიორგი პეტრეს ძე, ნინა გრიგოლის ასული, ვასილი, ალექსანდრე, ვიქტორ გიორგის ძე ლეონიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 26 აპრილს უდროოთ გარდაიცვალა მათი საყვარელი და მუდამ დაუვიწყარი ბიძაშვილი

მარიამ ანდრეის ასული ჯავახიშვილისა

რომლის გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს, 30 აპრილს დილის 9 საათზე, ანდრეევის ქუჩიდან № 32, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი ბინაზე ყოველ დღე, სალამოს 6 საათზე. (2—1)

გულდამწვარი ილარიონ ანტონის ძე და მეუღლე მისი გულჩინა გაიოზის ასული ხაზარაძეები შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ თფილისში გარდაიცვალა მისი უსაყვარლესი შვილი

ანტონი (ანტოშა) ხაზარაძე.

დაკრძალვა მოხდება ქუთაისში. [illegible] ქ. № 5 (2—1)

ეროვნული საბჭოები

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულია მთავრობის განცხადება სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს უკანონო მოქმედების შესახებ, რის გამო მთავრობამ აკრძალა ამ საბჭოს მიერ დანიშნული არჩევნები.

განცხადებაში მოკლეთ არის აღნიშნული ის ბოროტ-მოქმედებანი, რომელნიც ოსთა ეროვნულ საბჭოს ჩაუდენია. დაწვრილებით ამ ბოროტმოქმედებებს ჩვენ მაშინ გავეცნობით, როცა ოსთა ეროვნულ საბჭოს მოღვაწეებს მთავრობა პასუხისგებაში მისცემს და პირუთვნელი სასამართლო მათ შესახებ თავის სიტყვას გამოიტანს. სასამართლოში ალბათ ბევრს ბნელ საქმეს აეხდება ფარდა და ყველა ცხადათ დაინახავს, თუ როგორი მუხანათობით მოქმედებდენ პირები, რომელნიც სოციალისტების და დემოკრატების სამოსელში იყვნენ გახვეულნი და ამავე დროს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ზურგიდან უპირებდენ ხმლის ჩაცემას.

დღეს ჩვენ გვსურს ორიოდე სიტყვით შევეხოთ ეროვნულ საბჭოების მოღვაწეობას საერთოდ.

როგორც ვიცით, ეროვნული საბჭოები წარმოიშვნენ დიდი რევოლუციის ხანაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საერთო დემოკრატიული ფრონტი დაირღვა. იმ დროს ეროვნული საბჭოები აწარმოებდენ წმინდა კულტურულ ხასიათის საქმეებს.

შემდეგში, როცა ჯერ ამიერ-კავკასია ჩამოშორდა რუსეთს და შემდეგ თვით დაიყო რამდენიმე ნაწილად, ეროვნული საბჭოები გადაიქცნენ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებათ.

კერძოთ საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და საპარლამენტო მუშაობას შეუდგა ჯერ ეროვნულ საბჭოს, ხოლო შემდეგში კი პარლამენტის სახელით.

თავის თავად ცხადია, საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში ვერც ერთი ეროვნული საბჭო ვერ მიითვისებდა სახელმწიფოებრივი ხასიათის ფუნქციებს, რადგან საქართველო თვით გახდა სუვერენული სახელმწიფოებრივი ერთეული, სახელმწიფოში კი წარმოუდგენელია არსებობა ორი მოქმედი ძალისა.

ამიტომ სხვადასხვა ეროვნული საბჭოები დასაშვები იყო ჩვენში იმდენათ, რამდენათ ესა თუ ის საბჭო წარმოადგენდა თავის ერის დამცველ ორგანოს, მის, ასე ვთქვათ, წარმომადგენელს. ეს საჭირო იყო იმიტომ, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი იყო მარტო ქართველი ხალხი.

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ, რომელიც შემდეგ პარლამენტათ გადაკეთდა, საჭირო შესწორება შეიტანა ამ საქმეში და კანონით დაშვებულ იქნა სხვა ეროვნებათა წარმომადგენლობა.

მაგრამ მარტში არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება ისეთის სრულის და უნაკლო საარჩევნო წესით, როგორიც არის ოთხ-ფორმულიანი სისტემა პროპორციული წარმომადგენლობით. ეს საარჩევნო წესი ისეთია, რომ არც ერთს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ჯგუფს ხმა არ ეკარგება.

ცხადია, ასეთის წესით არჩეული დამფუძნებელი კრება წარმომადგენელია მთელი ხალხის, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, განურჩევლად ეროვნებისა და ასეთ პირობებში კიდევ რაიმე ეროვნულ საბჭოების არსებობა დასაშვები არ არის, თუ, რასაკვირველია, ეს საბჭოები აღჭურვილნი არ იქნებიან მხოლოდ წმინდა კულტურულ-განმანათლებელ ხასიათის ფუნქციებით.

დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც მთელი რესპუბლიკის ბატონ-პატრონია, უნდა იცოდეს, თუ რას აკეთებენ ეროვნული საბჭოები და რა მიზანს ისახავენ ისინი თავის მოქმედებაში. ამიტომ საჭიროა მოხდეს მათი რეგისტრაცია. მანამდის კი საერთო წესით მათ უნდა ჩამოერთვას ყოველგვარი უფლებები იურიდიულ პიროვნებისა.

მხოლოდ ეს დაგვიხსნის ჩვენ იმ სიურპრიზებისაგან, რომელიც ოსთა ეროვნულმა საბჭომ გვიძღვნა ნიმუშათ: მან არჩევნები დანიშნა ოთხფორმულიანი სისტემით და მთავრობისა და დამფუძნებელ კრების დაუკითხავად რაღაც სახელმწიფოს მსგავს ორგანიზაციის შექმნა იკისრა.

პარტიული მუშაობა

რევოლუციონურმა მოძრაობამ ჩვენი პარტიული ამხანაგები „ჩვეულებრივ" სამუშაოს მოგლიჯა და სხვა სამუშაოში ჩააბა.

ჩვენი პარტია შობილი თვით ხალხის წიაღში, მასთან შეზრდილი და შესისხლხორცებული, მესაიდუმლე მისი გულის და სულის, მოზიარე მისი ჭირის და ლხინის—დღე და ღამ მას გვერდში ედგა. მასთან ერთად არღვევდა და ეზიარებოდა ყოველივე იმას, რაც მის გარშემო ხდებოდა.

რევოლუციამდე არ შეიძლება ყოფილიყო ისეთი საკითხი, რომლის შესახებ პარტიას თვით ხალხთან ერთად თავის აზრი და განაჩენი არ გამოეტანა. მაშინ ეს სრულიად ბუნებრივი და აუცილებელი იყო. საერთო ოფიციალ პოლიტიკაში ყოველივე ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული; სამეურნეო და საზოგადოებრივი ორგანოები მემამულეთა და წოდებათა ინტერესებს ემსახურებოდა. ხალხი ყველა ამეების გარეშე იყო დაყენებული და რაღა გასაკვირია, თუ პარტია, რომელიც ისწრაფოდა თვით ხალხის გაბატონებას და ყოველივეს ხალხისა და ხალხის საშუალებით მოგვარებას ჩარეული ცხოვრების ყოველდღიურ წვრილმანებშიაც კი და ასე ნამდვილი ბატონ-პატრონი თავის მომავალი მოღვაწეობისათვის მოემზადება.

ესეც მოხდა. დიდმა რევოლუციამ ხალხის ბატონ-პატრონობა უზრუნველჰყო და ქვეყანას მართვა—გამგეობა ჩააბარა. ყოველივე ამან ძირიანათ შეცვალა ჩვენი პარტიის სამოღვაწეო გეგმა. პარტია აქტიურ მოვალეობათა აპარატათ აქცია და საუკეთესო ძალებს სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანოების ხელმძღვანელობა აკისრა.

რევოლუციაში ფართე მონაწილეობამ გამოიწვია ყველა ძალების მობილიზაცია უმთავრეს პუნქტებში. ხალხის უმრავლესობას მისწყდა ხელმძღვანელი. სხვა პარტიები მისთვის მიუღებელი იყო. ამიტომ ჩვენს ადგილს ის ვერ დაიჭერდა. ხალხი დარჩა „ღვთის ანაბარათ" მიტოვებული, მოკლებული საშუალებას გარკვეულიყო ყოველივე იმაში, რაც მას გარშემო ხდებოდა და კიდევ ბარაქალა მას, რომ ის დღემდის, მიუხედავათ ცოტა გახრა-გამოხრისა, საერთოდ სწორ გზას მიჰყვება და თავბრუდამხვევ ორიენტირებაში სწორ გზას ჯერ კიდევ არ ჰკარგავს, მაგრამ მოსალოდნელია კი. ეს გარემოება უკარნახებს ჩვენს პარტიას, ასე ვთქვათ, უკან მოხედვას და ისევ ხალხთან მისვლას და მუშაობას ძველ-ფორმებში ახალი შინაარსით.

სამწუხაროთ ჯერ კიდევ არ ემჩნევა ჩვენს პარტიას ასეთი ტენდენცია და ვშიშობთ არ გამეორდეს ის, რაც მოხდა რუსეთში, როცა ჩვენი პარტია სხვადასხვა გვარი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეებით დატვირთული მოკლებული იყო საშუალებას „წმინდა პარტიული" მუშაობა ეწარმოებია და ის, რაც ზევით [illegible], გამაგრებულიყო ქვევით. ამ გარემოებით ფართოთ ისარგებლეს გაბატონების მოტრფიალეებმა და ბოლოს ტახტიც დაიდგეს. ეს გარემოება ფრიად დასაფიქრებელია და ჩვენი პარტიული ორგანოების მოვალეობაა სერიოზული ყურადღება მიაქციონ ამ მხარეს და პარტიის აპარატი აქეთკენ მიმართონ.

სამწუხაროთ ბევრ ადგილას ჩვენი პარტიული ორგანიზაციები ამ მთავარ მათ მოვალეობას ივიწყებენ და თავს იქცევენ ისეთი რამეებით, რომელიც მათ პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს და მათი ამ მხრით მუშაობა საზარალოც არის. ეს გახლავთ მართვა-გამგეობის და საზოგადოებრივი ორგანოების მუშაობაში უადგილო ჩარევა.

ეს უადგილო ჩარევა იმდენათ ხელის შემშლელია საერთო მუშაობისათვის, რომ პარტიულმა სიეზდმაც კი მიაქცია ამ არანორმალურ მოვლენას ყურადღება და ასეთი ჩარევა სასტიკათ აკრძალა. მიუხედავათ სიეზდის ასეთი დადგენილებისა, ზოგი ორგანიზაციები მაინც განაგრძობენ ჩარევას და მით აუტანელ მდგომარეობაში აყენებენ, როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციას, ისე ერობებს და თვითმართველობებს. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ეს ორგანოები არჩეულია თვით პარტიის მიერ და მისი მხურვალე მონაწილეობით და ამიტომ ყოველ-დღიური მისი ოპეკა პირდაპირ შეუწყნარებელია. ზოგი ერობა და თვითმართველობა პირდაპირ შეუწყნარებელია. ზოგი ერობა და თვითმართველობა იმდენ სისუსტეს იჩენს, რომ ვალდებულათ იხდის თავს ხშირათ უმნიშვნელო კაპრიზებსაც კი აასრულოს და ეს მაშინ, როცა ამას არც საქმის ინტერესი და არც პარტიული დისციპლინა სრულიად არ მოითხოვს.

ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხელ კიდევ განიხილა ეს საკითხი და ყველა ორგანიზაციებს განსაკუთრებული ცირკულიარი დაუგზავნა. ცირკულიარი მოაგონებს პარტიულ ორგანიზაციებს თავის პირდაპირ მოვალეობას, მოაგონებს პარტიულ სიეზდის დადგენილებას და ერთხელ კიდევ წინადადებას აძლევს—არ ჩაერიონ ისეთ საქმეებში, რომელნიც მათ პირდაპირ არ ეხებათ.

დარწმუნებული ვართ ჩვენი პარტიული ორგანიზაციები სასტიკათ დაიცავენ ცენ. კომიტეტის განკარგულებას და შრომის განაწილებით სხვადასხვა ორგანოთა შორის ხელს შეუწყობენ ჩვენი პარტიული მოვალეობის პირნათლათ შესრულებას.

ისევ წვრილ საერობო ერთეულებზე

ის სამწუხარო ამბავი, რომელსაც ს. მიქელ-გაბრიელიდან გვატყობინებს ჩვენი კორესპონდენტი, პირველი არ არის: წვრილ საერობო ერთეულების გარშემო ყველგან დიდი აურზაურია ატეხილი. სამაზრო ერობის მოწყობა უმტკივნეულოდ ჩატარდა, რადგან ჩვენ გვქონდა კომისარიატის მიერ შედგენილი დებულება. სამწუხაროდ, ამ დებულებამ წვრილ ერთეულების მოწყობა სამაზრო ერობებს მიანდო და ამ უკანასკნელებმა, მიუხედავად ერობათა ყრილობის დადგენილებისა, არ მოისურვეს ერთი გეგმით მოქმედება. ამის შედეგათ ჩვენ მივიღეთ სხვადასხვა მაზრაში სხვადასხვა სახის წვრილი საერობო ერთეულები. ერთის შეხედვით ეს ბუნებრივიც უნდა იყოს, რადგან თეორეტიული მოსაზრებები გვეუბნება, რომ ყოველს მაზრაში განსაკუთრებული პირობებია ცხოვრების და ამიტომ თვითმართველობაც სხვადასხვა გვარათ უნდა იყოს მოწყობილი. მაგრამ ეს არის მხოლოდ თეორეტიული მსჯელობა, რასაც სინამდვილე თან არავითარი კავშირი არ აქვს. საქმე ის არის, რომ ჩვენი სოფლის საზოგადოებები ჯერ კიდევ ბატონ-ყმობის დროს ჩაისახნენ, ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ კი მათ მიიღეს ერთგვარი სახე, რომელიც ისტორიულათ შემუშავდა და განსაზღვრულ ეკონომიურ ჩარჩოში ჩამოყალიბდა.

დღევანდელი სოფლის საზოგადოება შედგება რამდენიმე სოფლისაგან ან სამოსახლოსაგან და ამ საზოგადოების მცხოვრებთა შორის ერთგვარი კავშირია დამყარებული, და ეს კავშირი მტკიცდება ეკონომიურ-კულტურული ერთიერთობით. აქა-იქ, რასაკვირველია, არის მცირე ნაწილები, რომელსაც ორგანიული კავშირი არ აქვს მთელთან, მაგრამ საერთოდ სოფლის საზოგადოება ისეთივე მთლიანი ორგანიზმია, როგორც არის სახელმწიფო. ასე ეს როგორც ქართლში და კახეთში, ისე გურიაში და იმერეთ სამეგრელოში.

ამ გარემოებას სამართლიანად გაუწია ანგარიში ერობათა ყრილობამ და დაადგინა არსებულ სოფლის საზოგადოებათა გადაქცევა წვრილ ერთეულებათ.

საჭირო იყო სამაზრო ერობებს მიეღოთ ეს პრინციპი სახელმძღვანელოთ, რაც შეიძლება ჩქარა მოეწყოთ საერობო არჩევნები, რადგან დღეს სოფელი აუტანელ პირობებშია ჩაყენებული. დღეს ფაქტიურათ სოფელს განაგებს „დროიძების" უპასუხისმგებლო ჯგუფი, რომელიც მოკალათებულია აღმასრულებელ კომიტეტში და ზოგიერთს სოც.-დემოკ. კოლექტივში. ეს დიდი ბოროტებაა დღევანდელი ცხოვრებისათვის. აღმასრულებელ კომიტეტიდან დღეს დარჩენილა მხოლოდ ბეჭედი და თითო-ოროლა პირი, რომელიც ამ ბეჭდით სარგებლობს. და რომ უფრო ავტორიტეტული იქნეს ასეთი კომიტეტი, ის მოქმედობს სოციალდემოკრატიულ კოლექტივის შემწეობით. იქმნება სამწუხარო და სასაცილო სურათი: სოც.-დემ. კოლექტივი, რომელიც მოწოდებულია გაავრცელოს პარტიის წევრთა შორის მარქსიზმის იდეები, გაშალოს სოციალისტური პროპაგანდა აგიტაცია, ამის ნაცვლად ებღაუჭება მართველობის აპარატს და თავისი უმსგავსო საქციელით სახელს უტეხს როგორც ადმინისტრაციას, ისე სოც.-დემ. პარტიას და მხოლოდ საკუთარ, საპირადო საქმეებს [illegible]. სოფელი იღუპება, იქ ბნელი ძალები იდგამენ ფეხს და ამ დროს ჩვენი ერობები კამათს უნდებიან წვრილ ერთეულის საზღვრის შესახებ.

ყველაზე უფრო დაუშვებელია გურიის ერობის მოქმედება. ამ ერობის ყრილობა მარტში თითქმის თანასწორად გაიყო ამ კითხვის გამო და რადგაც ერთი-ორი ხმის უმეტესობით გადაწყდა რამდენიმე სოფლის საზოგადოების ერთად შეერთება. ერობამ არ დაუჯერა თავის გამგეობას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ერობათა ყრილობის აზრს და უფრო მოგვ ქრებით ქონდა დამუშავებული გეგმა, რომელიც მოითხოვდა ძველი საზოგადოებების ხელუხლებლად დატოვებას. საქმეში, როგორც ვიცით, ჩაერია სამაზრო სოც.-დემ. კომიტეტი, რომელმაც მოწოდებით მიმართა მცხოვრებთ მხარი დაეჭირათ გადაჯგუფებისათვის.

სამწუხაროა, რომ კომიტეტის მიმართვა დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", მაგრამ სასიხარულოა ის, რომ გურიის ხალხმა შესაფერი სიმწიფე გამოიჩინა და კაბინეტური გეგმა არ მიიღო. რამდენადაც ვიცით, გადაჯგუფება გატარდა გორის მაზრაში, მაგრამ, ეჭვი არ არის, ეს გადაჯგუფება უდღეური გამოდგება და ცხოვრება ულმობელობას გამოიჩენს კაბინეტში შემუშავებულ გეგმისადმი.

ვიმეორებთ, საჭიროა ჩქარა მოხდეს წვრილ საერობო ერთეულების მოწყობა. ამ მოუწყობლობის მიზეზია, სხვათა შორის, ის სამწუხარო ამბავიც, რომელსაც მიქელ გაბრიელის კორესპონდენტი გვატყობინებს: მცხოვრებლები უკმაყოფილონი არიან მოუწყობლობით და ამიტომ ყველა დამრღვევი ელემენტები სამოქმედო ასპარეზს პოულობენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გურიის ერობის გამგეობამ სასწრაფოთ უნდა მოიწვიოს სამაზრო ყრილობა და თავისი დადგენილება გადასინჯოს, ეს კითხვა განმეორებით უნდა დაისვას ერობათა ყრილობაზე, რომ ერთგვარი ზნეობრივი გავლენის ქვეშ დადგეს ყველა სამაზრო ერობა და რაშიაც საჭიროა ერთფეროვნება იქნას დაცული.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ ცხოვრების წესიერ კალაპოტში ჩაყენებას და ნორჩ ერობას ხალხის თვალში სახელი გაუტყდება.

წვრილი ერთეული ის საფუძველია, რომელსაც სამაზრო ერობა უნდა დაეყრდნოს და თუ საძირკველი დანგრეული იქნება, კედლების აშენებისათვის ყოველი შრომა უქმად ჩაივლის.

დღეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აზრით სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს მოქმედება საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების უფლებათა დარღვევათ უნდა ჩაითვალოს; ამიტომ მთავრობა შესაფერ ზომებს მიიღებს ასეთ მოქმედებათა შესაწყვეტად.

არტაანის ფრონტზე ჩვენმა მეწინავეებმა 400 კაცისაგან შემდგარი ქურთების რაზმი გარეკა.

ინგლისური პრესის ცნობით ადრიატიკის საკითხში პარიზის საზავო კონფერენციაზე იტალია დამარცხებულათ უნდა ჩაითვალოს.

პოლონეთში მივიდა გენ. გალერის არმიის 10 ათასი ჯარი, ვარშავიდან ამ ჯარს უკრაინის ფრონტზე გაგზავნიან.

მიუნქენში ფულის სიმცირის გამო კომუნისტებმა საკუთარი ფულის გამოცემას შეუდგენ. მთავრობის აეროპლანები მიუნქენს ზვერავენ და მოწოდებებს ავრცელებენ.

უნგრეთის საბჭოთა მთავრობამ ბრიტანეთის მისიას სთხოვა დროებითი ზავის ჩამოგდება.

ჩეხო-სლოვაკების მინისტრმა კლოფაჩმა წინადადება მისცა პოლონეთს რათა გერმანიის წინააღმდეგ ძლიერი ფრონტი შექმნან.

დონის ოლქში ტიხორეცკაიასა და ველიკოკნიაჟესკაიას მიმართულებით საბჭოთა ჯარებმა მოხალისეთა იერიში მოიგერიეს და წინ წაიწიეს.

საბჭოთა ჯარებსა და საფრანგეთის ჯარებს შორის სევასტოპოლის რაიონში საომარი მოქმედება შეწყდა. ბოლშევიკების ცნობით საფრანგეთის ჯარები სევასტოპოლს სცლიან.

პრესა

„ჟოღოვურდი ძაინ", (№ 87) ამიერ-კავკასიის კონფერენციის შესახებ შემდეგს სწერს:

„ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენლების კონფერენცია, ვიმედოვნებთ, მთელი კეთილ სინდისიერობით და პოლიტიკური საკითხების რეალური შეგნებით აასრულებს დაკისრებულ მეტად მნიშვნელოვან მოვალეობებს.

„თუ დღემდე ვერ მოხერხდა წინანდელი ურთიერთობის აღდგენა, ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი ხელმძღვანელი წრეები არ ცდილობდენ და თითქმის არავითარ ღონისძიებას არ ღებულობდენ.

„საჭიროა, რომ დაბოლოს მოწესრიგდეს ჩვენი საზღვრების სადავო საკითხებიც, რომ ჩვენ შევძლოთ წარვსდგეთ პარიზის კონფერენციის წინაშე გარკვეული პროგრამით, დაყრდნობილნი მტკიცე და თანხმობით შედგენილ ხელშეკრულობაზე.

„პარიზის კონფერენციას დრო და საშუალება არ ექნება ჩვენი სადავო საკითხი ისე დაწვრილებით გაარჩიოს, როგორც ეს ჩვენ გვსურს. ამიტომ ჩვენი რეალური ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ, რომ აქვე დავამთავროთ ჩვენი სადავო საკითხები და ერთი პროგრამით, ერთი გამორკვეული პოლიტიკით გამოვიდეთ ჩვენი დელეგატების სახელით.

„ჩვენ გვგონია, რომ ეს იქნება ერთად ერთი მისადები დიპლომატიური ნაბიჯი, რომელიც შეგვეძლია გადავდგათ განათლებულ ქვეყნის წინაშე.

„ამაზე ნაკლებ საჭიროებას არ შეადგენს მთლიანი, საერთო პოლიტიკის წარმოება.

„ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ჩვენ ხელმძღვანელ წრეებს შეეძლოთ საშუალებათა გამონახვა ასეთი საკითხების მოსაწესრიგებლად, შეიძლებოდა ბევრი უბედურობის აცილება და ხალხის გადარჩენა უფსკრულის გზიდან.

„დღევანდელმა კონფერენციამ პირველ საკითხად უნდა შეიტანოს ეს და უკეთუ ახლა არ გადაიჭრება ის საგნები, შემდეგში მაინც საფუძვლათ დაედება მომავალ მოლაპარაკებას.

„ვიმედოვნებთ, რომ კონფერენციის მუშაობა ნაყოფიერი იქნება, რომ ის ბოლოს მოუღებს არა ნორმალურ მდგომარეობას".

სომხის ხალხის უბედურება სწორეთ იმაშია, რომ ვისაც გავლენა აქვს მასში, ის არ ემსახურებოდა შეერთება-შეთანხმებას. ის საწინააღმდეგო პოლიტიკას აწარმოებდა და რამდენადაც მალე დამარცხდება ასეთი პოლიტიკა, იმდენათ მალე ჩაეყრება საძირკველი ორ მეზობელ ხალხთა შორის მეზობლურ კავშირს.

უკანასკნელი ცნობები

ტფილისი. აპრ. 28. (ოფიციალური). შინაგან საქმეთა სამინისტროში მოსულ ცნობებით სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს, რომელიც გორის მაზრის ს. ცხინვალშია, ბოლო ხნის მოქმედება აღემატება მის კომპეტენციას და საქართველოს რესპუბლიკის საერთო მართველობის საქმეს ეხება, მაგალითად, საბჭომ თავისი ნებით გადააყენა საქართველოს მთავრობის მიერ ჯავის კომისრად დანიშნული ცხოვრებოვი, მოაწყო ეკლესიის მრევლები, ცხინვალის რაიონში ახალგაზრდათა ჯარში გაწვევის შესახებ სამხედრო უწყების განკარგულებანი გააუქმა, დამფუძნებელ კრების არჩევნების წარმოებას ხელს უშლიდა და სხვა. ყველა ამის გამო და რადგანაც, იმავე ცნობების თანახმად, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭო წევრთა ახალ არჩევნებს ახდენს ოთხ ფორმულიანი საარჩევნო წესით იმ აშკარა მიზნით, რომ ამ დაწესებულებას მისცეს ხასიათი საჯარო ორგანიზაციისა, რომელმაც საქართველოს ფარგლებში სამხრეთ ოსეთის იურიდიულ უფლებრივი მდგომარეობა უნდა გაარკვიოს, სამხრეთ ოსეთის ეროვნულ საბჭოს ასეთი მოქმედება კი რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების უფლებათა დარღვევათ უნდა ჩაითვალოს, მთავრობა მოვალეთ სთვლის თავის თავს განაცხადოს, რომ ის იძულებულია შესაფერი ზომები მიიღოს ოსთა ეროვნულ საბჭოს ასეთი მოქმედების შესაწყვეტად. ამ საქმის შესახებ სათანადო დირექტივები ამასთანავე ერთად ეძლევა გორის მაზრის კომისარს. შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერი ჭიჭინაძე. (ს. დ. ს.)

ჩვენი რაფიელი

უდროოთ სიკვდილი, საშინელი, თავზარდამცემი სიკვდილი!

უეცარი, სრულებით მოულოდნელი მეხი!

მოსისხლე მტერიც კი არ გაგვიმეტებდა ამდენათ.

ვინ მოიფიქრებდა, რომ ჩვენი ტკბილი, ჩვენი უშწიკვლო, ყოვლად პატიოსანი, კეთილშობილი და უადრესათ თავმდაბალი რაფიელი, ჩვენი რაფიელი, ჩვენი საყვარელი, ჩვენი შავი რაფიელი, ასე უდროოთ, ასე უდროოთ დაგვეობლებოდა!

არის უბედურება, რომელიც ადამიანს ამამბლავებს თავისი საშინელებით, მიწასთან ასწორებს.

არის მწუხარება, რომლის გამოსახატავათ ყოველი სიტყვა უძლურია. არის გრძნობა, რომლის გამოთქმაც შეუძლებელია.

ასეთი უბედურება, ასეთი გრძნობა გვეარგუნა დღეს ჩვენ ბედმა. ასეთი მწუხარება გვეწვია წელსათ.

ჩვენი რაფიელი, ჩვენი ფაქიზი, სპეტაკი, ენა-წყლიანი რაფიელი, ხშირათ ჩუმი და წყნარი, ხშირათ აღელვებული, გრძნობათა ტალღებში გადაშვებული და ცეცხლის მფრქვეველი რაფიელი დღეიდან ჩვენ შორის აღარ იქნება!

რათა, რისთვის? სად არის აქ სამართალი?

ვინ წაგვართვა, ვინ? რისთვის წაგვართვეს?

ჩვენ ხომ ერთათ ვიბრძოდით უკეთესი მომავლისათვის!

ჩვენ ხომ ერთათ ვღვრიდით ოფლს და ვიტანჯებოდით მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის!

ჩვენ ხომ ერთად ვოცნებობდით, ერთათ ვწირავდით დემოკრატიის კეთილდღეობის სამსხვერპლოზე ჩვენს საუკეთესო გრძნობებს, ჩვენს ფიქრს, ჩვენს სულისკვეთებას!

მიზანი ჯერ ხომ მიღწეული არ არის, ის მხოლოდ მოსჩანს.

რაფიელს კი, ჩვენს საკუთარ რაფიელს, რამდენი ენერგია, რაოდენი გატაცება და რა ძლიერი ცეცხლი ჰქონდა, რომ თავისი აღგზნებული სიტყვით აენთო ხალხის გული, გადაელახა ყოველგვარი დაბრკოლება და ძლევამოსილათ ევლო თავისი მიზნისაკენ.

უდროოთ, საშინელი სიკვდილი! მისი სიცოცხლე ხომ ასე საჭირო იყო მშრომელი ხალხისათვის; ის ხომ ამდენათ საყვარელი იყო თავისი ამხანაგებისათვის და ვინღა გაგვეთბობს დღეს შემდეგ, ვინღა ჩასწვდება სოფლის მშრომელ ხალხს გულის სიღრმეში თავისი მადლიანი ენით, გრძნობით სავსე სიტყვით?

პარტიისათვის რაფიელი იშვიათი წევრი იყო.

საუკეთესო გრძნობათა თაიგული საუკეთესო ტრიბუნიც იყო ხალხისათვის.

გრძნობა და აზრი რაფიელის სიტყვაში შეერთებული იყო და ყოველი მისი სიტყვა სიყვარულით იყო გამთბარი, გულის სიღრმეში ამოღებული.

საამხანაგო, სამეგობრო კაცი, რომელსაც გულით ენდობოდა და რომელიც გამათბობდა სიყვარულით, გვერდში ამოგიდგებოდა,—ასეთი იყო ჩვენი რაფიელი, მუდამ დინჯი და კდემამოსილი.

მშვიდი და წყნარი, ლმობიერი და უწყინარი, კეთილი და უბოროტო, რაფიელი აინთებოდა, თვალები გაუბრწყინდებოდა და კაზმულ სიტყვათა სპეტაკ გრძნობათა მომხიბლავ ფერადებით გადაიშლებოდა ხალხის წინაშე, რომელსაც რომელიმე მოპირდაპირე ტალანტით, უხეშათ შეეხებოდა მის რწმენას, მის წმინდათა წმინდას.

რამდენის გაკეთება შეეძლო ჩვენს მადლიან, ჩვენ მირონცხებულ რაფიელს და რატომ არ დასცალდა, რატომ?

ის ხომ ხალხს აძლევდა ყოველისფერს და თავისთვის არასფერს არ ეძებდა, არას ფერს არ იტოვებდა! ის ხომ ხალხის გულისათვის იტანჯებოდა და ხალხის სამსახურშიც იმსხვერპლა!

რაფიელი აღარა გვყავს, რაფიელი მოკვდა,—ეს საშინელი სიტყვები უნდა მოედოს ყველგან ჩვენს ორგანიზაციებს და გულწრფელათ ატირონ, გული კვნესა და ობლობა აგრძნობინოს ყველა მის იდეურ ამხანაგს, რომელიც კი რაფიელს იცნობდა.

რატომ იხოცებიან ასეთი ადამიანები ასე უდროვოთ?

ნუთუ მართლა ამდენათ ფუჭია და ამაოება ჩვენი ცხოვრება?

სულ რამდენიმე დღის წინეთ მითხარა რაფიელმა: ეჰ, ჩემო ვანო, ვეღარ წავალთ აწი მე და შენ ერთათ შარაპნისკენო.

რაფიელ, ჩვენო რაფიელ! ნუთუ მართლა ვეღარსად წავალთ ერთათ?

როგორ დავიჯერო ასეთი საშინელება?

რითი შევურიგდე ასეთ უბედურებას?

დაობლებული ამხანაგი და მეგობარი
ივ. გომართელი.

ამიერ-კავკ. რესპუბლიკათა წარმომ. კონფერენცია

27 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიხსნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია; დაესწრენ შემდეგ რესპუბლიკათა წარმომადგენლები: საქართველოსი—ევ. პ. გეგეჭკორი, ნ. ე. რამიშვილი, კ. პ. კანდელაკი; სომხეთის—ტიგრანიანი, არუთიუნიანი, მამიკონიანი; აღერბეიჯანიდან—ხან-ხოისკი, ჯაფაროვი, ხასმამედოვი.

კონფერენცია გახსნა საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა, რომელმაც შემდეგი გრძნობიერი მისასალმებელი სიტყვით მიმართა კონფერენციას:

ნება მიბოძეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით მოგესალმოთ თქვენ, ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკის წარმომადგენელნო. მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს აღვნიშნო, რომ კონფერენცია იკრიბება ფრიად მძიმე და პასუხსაგებ დროს. მსოფლიო ომმა გამოიწვია ევროპის საფუძვლის შერყევა და ჯერ არა თუ არ დამყარებულა მშვიდობიანობა, არამედ არის ნიშნები იმისა, რომ შემდეგში მდგომარეობა უფრო გართულდება. ზღვის ტალღები ჯერ კიდევ ღელავენ და კიდევ გვესმის ქუხილის ხმა. აი, ამგვარ წუთებში ჩვენ ვდგამთ პირველ ნაბიჯს მისთვის, რომ გამოვნახოთ საერთო ენა და შევიმუშაოთ ის ძირითადი საფუძველი, რომელზედაც უნდა დამყარდეს ჩვენი საერთო მუშაობა. ასეთი მდგომარეობა დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. და ვაი იმ ხალხის წარმომადგენლებს, რომლებიც გატაცებულნი იქნებიან გარდამავალ ინტერესებით და დაივიწყებენ იმ მიზნებს, რომელიც მათ წინაშე სდგას. საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ მიუხედავათ ინტერესთა წინააღმდეგობისა, რომელიც არსებობს ამიერ-კავკასიაში, ჩვენ უნდა შევკავშირდეთ მთელ რიგში სასიცოცხლო და მნიშვნელოვან კითხვებში. მე იმედი მაქვს, რომ კონფერენცია შესძლებს სწორი გზის გამონახვას. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენ დამოუკიდებელ რესპუბლიკებს საფრთხეს უმზადებენ და ამან უნდა შეგვაკავშიროს ჩვენ, რათა საერთო ძალღონით მოვიგერიოთ ყველა ის, ვინც ჩვენ დამოუკიდებლობის დამხობას შეეცდება. საქართველოს მთავრობა იმედს გამოსთქვამს, რომ ჩვენ შევძლებთ იმ საერთო გზის გამონახვას, რომელიც შეაკავშირებს ამიერ-კავკასიის ერებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პირველი შეხვედრა მოგვიტანს იმ ნაყოფს, რომელიც შეგვაძლებინებს პოლიტიკურ და ეკონომიურ კავშირის დაჭერას და შევქმნით ერთ მთლიან ფრონტს. თუ ჩვენ ეს შევძელით, მაშინ მომავალს იმედიანათ უნდა შევხედოთ და გვეწამება, რომ საერთო ძალღონით ავიცდენთ ყოველივე ხიფათს. იმის და მიუხედავათ, რომ ჩვენი პოლიტიკური მსოფლ-მხედველობა სხვადასხვა არის, ჩვენ ერთი რამ გვაქვს საერთო, ეს არის ის, რომ ჩვენ ერებს შორის არსებობდა ყოველთვის მეგობრული კავშირი და ჩვენი მიზანიც უნდა იყოს ის, რომ ეს კავშირი უფრო მტკიცე იყოს. ერთხელ კიდევ მოგესალმებით, როგორც თანამოძმე ერების წარმომადგენლებს.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი აღნიშნავს, რომ წინათ რუსეთმა მხოლოდ გარეგნულათ შეაკავშირა ერები და რუსეთის დაშლისთანავე დაირღვა ეს გარეგნული კავშირიც. ეხლა ამიერ-კავკასიის ერებს საჭიროთ მიაჩნია მეზობლებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა და იმედს გამოსთქვამს, რომ ასეთი კავშირი დამყარდება.

ხანხოისკი აღნიშნავს, რომ აღერბეიჯანის მთავრობა ყოველთვის იმ აზრის იზიარებდა, რომ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა. ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ ასეთივე გრძნობით არიან ყველანი გამსჭვალულნი და მჭიდრო კავშირი უეჭველად დამყარდება ხალხებს შორის, რადგანაც ამას ჩვენი საარსებო ინტერესები მოითხოვენ.

კონფერენცია შეუდგა პრეზიდიუმის არჩევნებს. აირჩიეს ევ. გეგეჭკორი, ტიგრანიანი და ხანხოისკი. მეოთხე ადგილი დაუტოვეს მთიელთა რესპუბლიკის წარმომადგენლებს, რომლებიც ჯერ არ გამოცხადებულან.

დასასრულ მიიღეს ნაკაზის ზოგიერთი მუხლები. შემდეგი სხდომა დანიშნულია ოთხშაბათს დილის 11 საათზე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშთა სააგენტო)

27—28 აპრილი

ნიდერლანდის ბიუროს ცნობები.

საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს მდივან გუისმანთან ვოლფის დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა. იმ შეკითხვაზე, თუ ამსტერდამის სოციალისტურ კონფერენციაზე გერმანიის დელეგატებმა როგორი პოზიცია დაიჭირეს, გუისმანმა სთქვა, რომ გერმანელები იქ გამოცხადდენ, როგორც წარმომადგენლები სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა, რომელსაც თავის ქვეყანაში გარკვეული პოლიტიკა აქვს, წინააღმდეგ სხვა ქვეყნებისა, სადაც სოციალისტებს მთავრობაზე ასეთი გავლენა არა აქვს. იმ შეკითხვაზე, თუ რამდენათ შესაძლებელია ხალხთა ლიგის შექმნა უგერმანიოთ ისე, რომ უკანასკნელი ლიგის დაარსების შემდეგ შევიდეს მასში სწორუფლებიან წევრათ, გუისმანმა მოიხსენია თებერვალში პარიზის სოციალისტურ კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც ლორდ რობერტს სესილს წარუდგინეს და რომელიც მოითხოვს, რომ გერმანია და რუსეთი დაუყოვნებლივ უნდა იქნენ შეყვანილი წევრებათ ხალხთა ლიგაში.

გუისმანმა განაცხადა, რომ ეს საკითხი იყო მთავარი მიზეზი კონფერენციის ამსტერდამში მოწვევის და მტკიცე რწმენა გამოსთქვა, რომ კონფერენციის ეს მოთხოვნილება გავლენას იქონიებს პარიზის საზავო მოლაპარაკებაზე. ამ მოთხოვნილებას ენერგიულათ უჭერენ მხარს საფრანგეთის სოციალისტები და აგრეთვე ინგლისის სოციალისტები ტრედ-იუნიონების და მუშათა პარტიის კონფერენციაზე 26 აპრილს ლონდონში. გუისმანმა განაცხადა, რომ ბელგიის მუშები ანექსიის წინააღმდეგ იყვნენ, მაგრამ სრული რესტავრაცია და ომის მიერ მიყენებულ ზარალის ანაზღაურება ბელგიისთვის სიცოცხლის და სიკვდილის საკითხი იყო, რადგან 7 მილიონიანი ერი ვერ შესძლებდა აეტანა, რომ 800,000 მუშა უსაქმოთ იყო.

პოლონეთში უკვე მივიდა გალერის არმიის 10,000 ჯარისკაცი, რომელიც პირველ დივიზიას შეადგენს და საფრანგეთიდან მოდის ფრანგი გენ. დიუპონის სარდლობით. ამ დივიზიაში შედის პოლონელ მსროლელთა პოლკი, არტილერია და კავალერია. ბატალიონის უფროსიდან დაწყებული ყველა აფიცრები ფრანგებია. ჯარისკაცები 20—30 წ. არიან. მათ თან მოსდევთ დიდძალი ავტომობილები. იარაღი კარგი აქვთ. გენ. გალერიც უკვე პოლონეთშია, მის შტაბში 5 ფრანგი გენერალია. ჯარი მოემგზავრება ვარშავაში, საიდანაც, ალბათ, აღმოსავლეთისაკენ გაგზავნიან უკრაინის ფრონტზე.

გერმანულ ავსტრიის მთავრობამ საკომპენსაციო ხელშეკრულება დასდო სამხრეთ სლავიანსა, დასავლეთ უკრაინასა და უნგრეთთან. დასავლეთ უკრაინასთან დადებულ ხელშეკრულების ძალით მომავალში დასავლეთმა უკრაინამ ავსტრია-უნგრეთს შეღავათიან პირობებში უნდა მიაწოდოს მინერალური მასალები. ხელშეკრულების ძალით რუმინიამ პირველ ხანებში 6000 ტონა მინერალური მასალა უნდა გადასცეს ავსტრია-უნგრეთს, შემდეგ 14,000 ტონა კიდევ. სამაგიეროთ გერმანულმა ავსტრიამ ერთნაირ ფასებში უნდა მიაწოდოს მათ ქარხნის ნაწარმოებნი, უმთავრესად რკინის გზის მასალა.

ბავარიის კომუნისტებმა გადასწყვიტეს ფულის სიმცირის გამო 100 მილიონი მარკის ახალი ქაღალდის ფული გამოუშვან.

მიუნქენში საერთო სულიერ დაცემისა და გარედან ძალდატანების გამო საყოველთაო გაფიცვა შეწყდა. მიუნქენში მთავრობის ერთგულ მფრინავთა საშუალებით ყოველ დღე მოდის ცნობები ბამბერგიდან. მინისტრ პრეზიდენტის ჰოფმანის ორგანოს „ფრეი შტაატ"-ს მრავალთ ყრიან ჰაეროპლანებიდან მიუნქენში. მიუნქენის კომუნისტები ყოველგვარ საშუალებით სცდილობენ ხელი შეუშალონ ქალაქის გარედან მოსულ ცნობების გავრცელებას. მოახლოვებულ ჰაეროპლანებს სასტიკათ უშენენ. განზრახულია ბურჟუაზიის ევაკუაცია. მიუნქენის მიდამოებში იმყოფება მრავალი შეიარაღებული რუსი სამხედრო ტყვეები და უნგრეთები. წითელი არმია შედგება 80,000 კაცისაგან.

აუგსბურგში ჯერ კიდევ სწარმოებს სროლა. თუმცა ჯერ სერიოზული შედეგი არ მოყოლია.

ნიურენბერგის დამოუკიდებელმა სოც.-დემ. განაცხადეს, რომ თუ ჰოფმანის მთავრობამ უკადრეს, რადიკალური ელემენტების წინააღმდეგ დაუნდობელი მკაცრი ბრძოლა დაიწყო, მაშინ მას დამოუკიდებელ სოციალ დემოკრატებთანაც მოუხდება შეტაკებაო.

ჰანოვერში პოლიციასა და ბრბოს შორის შეტაკება მოხდა. ორ პოლიციელს, რომელთაც ქუჩებში შეგროვილი ხალხი უნდა გაეფანტათ, იარაღი აჰყარეს, მესამეს სროლა აუტეხეს. ბოლოს შეგროვილი ხალხი პოლიციამ გაფანტა.

„ფორვერტსი" სწერს, რომ გერმანიის მთავრობა არ მიიღებს ისეთ ზავს, რომელიც გერმანიის ხალხს ახალშენებს წაართმევს, რადგანაც ამ შემთხვევაში გერმანიის ეკონომიური ცხოვრება ისეთი მძიმე იქნება, რომ ბოლოს და ბოლოს ახალ მსოფლიო ომს გამოიწვევდა.

გერმანიის ყოფილმა ელჩმა პოლონეთის მთავრობასთან გრაფმა ფონ-კესლერმა აპრილის 26, პრუსიის ზედა პალატის შენობაში გერმანიის ახალგაზრდათა დემოკრატიულ ასოციაციას სიტყვით მიმართა შემდეგ თემაზე: „ხალხთა ნამდვილი ლიგა". მან სთქვა, რომ პრეზიდენტ ვილსონის მიერ პარიზის კონფერენციაზე წარმოდგენილი სქემა ხალხთა ლიგა კი არა სახელმწიფოთა ლიგაა. ამ ნაირათ უნდა მოველოდეთ, რომ ხალხთა ლიგა, რა სახითაც პარიზში აპირებენ მის შექმნას, იქნება მხოლოდ სახელმწიფოთა დიდი ლიგა, რომელიც ადრე თუ გვიან ვერ აიცდენს ყველა წინანდელ კავშირების ბედს. ეს ლიგა, როგორც ეტყობა, იქნებოდა მხოლოდ სახელმწიფოთა რომელიმე ჯგუფის ინტერესების წარმომადგენელი და იგი არ იქნება ხალხთა მიუდგომელი და ნამდვილი წარმომადგენელი. ლიგის აღმასრულებელ საბჭოში 5 ადგილი კავშირში მყოფ სახელმწიფოებს მიეცემათ და მხოლოდ 4 ადგილი სხვა სახელმწიფოებს, სხვანაირათ

პირველი მაისისათვის

სულ რამდენიმე დღე-ღა დარჩა პირველ მაისამდე, გასაკეთებელი კი ბევრია. თუ ყველა ამხანაგები არ დაეხმარენ, ისე მარტო კომისია ბევრს ვერას გახდება.

ამიტომ კიდევ მოვაგონებთ პარტიულ თუ პროფესიონალურ ამხანაგებს—მიაქციონ ყურადღება კომისიის მიერ შემუშავებულ და უკვე გამოქვეყნებულ პროგრამას და შეეცადონ ხელი დღესასწაულის მოწყობაში. თითეული რაიონის მოვალეობაა მის რაიონიდან დაწყებულ დემონსტრაციას მისცეს რაც შეიძლება მწყობრი, ორგანიზაციული და დღესასწაულის შესაფერი ელფერი. პირველ მაისს რამდენიმე ავტომობილი იქნება შესაფერისად მორთულ-მოკაზმული წარწერებით: გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას. აი ამ ავტომობილებში მოთავსდება ჯგუფი, ჩაცმული სხვადასხვა ეროვნულ ტანისამოსში.

ამისათვის საჭიროა ეს ეროვნული ტანისამოსი.

ვისაც შეუძლია ამ საქმეში ხელის შეწყობა, ვთხოვთ აცნობოს პროფესიონალურ კავშირების სეკრეტარიატში სამაისო კომისიას. აგრეთვე ვინც ველოსიპედზე მოსიარულე ამხანაგი გამოცხადდება პირველ მაისს კოხტად და ლამაზად მორთულ ველოსიპედზე, ის მიიღებს რაიმე სამაისო ნიშანს.

ამხანაგებო! პირველ მაისს თვით ბურჟუაზიულ ქვეყნებში დღესასწაულობენ დიდის ამბით. დიდია, საყურადღებოა ამ დღის მნიშვნელობა, სიდიადე ლოზუნგი. პირველი მაისის ლოზუნგმა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ლოზუნგმა მოგვცა ჩვენ რუსეთის დიდი რევოლუციები, მოგვცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დამოუკიდებლობა. დღეს საქართველოში დიდ უმრავლესობას შევადგენთ სოციალისტები. რაც უნდა გასაჭირში ვიყოთ, რაც უნდა გვშიოდეს და გვწყუროდეს, ამ დღეს ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და ყველამ მივიღოთ მონაწილეობა პირველ მაისის დემონსტრაციაში.

ამხანაგებო, მუშებო, მშრომელნო!

ემზადეთ პირველი მაისისთვის. არ დარჩეთ არავინ სახლში.

პირველი მაისი მშრომელთა პარადია. რედაქციები, რომელნიც პირველ მაისის დღესასწაულს თანაუგრძნობენ, იმედია კომისიის საპროგრამო წერილს გადაბეჭდავენ.

მთავარმა სამაისო კომისიამ შეიმუშავა შემდეგი წესრიგი დღესასწაულისა.

1) თუ ტექნიკურად მოხერხდა, დამზადდეს სამაისო წითელი ნიშნები მარქსის სურათით და წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს". წარწერა იყოს ქართულათ, რუსულათ, სომხურათ, თათრულათ და თუ მოხერხდა ინგლისურათაც. დემონსტრაციაში მონაწილეთათვის ეს წითელი მაისის ნიშანი სავალდებულოა გულზე ჰქონდეს მიბნეული.

2) დილით ადრე მუსიკით და დროშებით შემოვლა რაიონებისა და თავის მოყრა რაიონების კოლექტივებში, პროფესიონალურ კავშირებში, ანუ სადაც ადგილობრივი ორგანიზაციები ამას საჭიროთ დაინახავენ. აქედან კი დანიშნულ საათზე სასახლისაკენ გამგზავრება.

აქ მოკლე მიტინგი და არა უგვიანეს 12 საათისა დილით, საერთო დემონსტრაციის გამგზავრება სასახლიდან კომისიის მიერ აღნიშნულ ქუჩებით ძმათა სასაფლაოსაკენ, ნაძალადევში. (ეს მარშრუტი შემდეგ იქნება გამოცხადებული).

დემონსტრაციის მსვლელობის წესრიგი და შემადგენლობა წინა დღეებში იქნება გაზეთში გამოცხადებული, ხოლო დღესვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ იქნება სათავეში ველოსიპედთა ჯგუფი, მოსწავლეთა ჯგუფი, ახალგაზრდა მარქსისტთა ჯგუფი, მთავრობის წარმომადგენელნი, დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქცია, ქალაქის საბჭოთა ფრაქცია და ამას მოყვება პოლიტიკური ორგანიზაციები და სხვა და სხვა მუშათა პროფესიონალური კავშირები.

მოვაგონებთ ამხანაგებს ადრევე დაიჭირონ თადარიგი, რომ დღესასწაული კარგათ ჩატარდეს.

პროცესია გაივლის ძმათა სასაფლაოსთან და ყველა გამვლელი შეამკობს ამ ძვირფასს ადგილს ყვავილებით.

3) ყვავილების გაყიდვა უნდა მოეწყოს ორგანიზაციულად თვით კომისიის მიერ და რაც შეიძლება იაფად, რომ ყველა მსურველს მიეცეს საშუალება შეამკოს ეს დიდებული სასაფლაო ყვავილებით.

ამის შემდეგ აქვე სასაფლაოს გვერდზე დიდ მინდორში გაიმართება მიტინგი და შემდეგ სიმღერა—წარმოდგენა—თამაში..

4) საღამოს რვა საათზე იქნება დღესასწაული რაიონებში იმ პროგრამით, რასაც თითეული რაიონი შეიმუშავებს.

მაგარი სასმელების ხმარება ამ დღეს დასაშვები არაა.

5) სამაისო პლაკატები და წარწერანი შეიძლება გამოვიყენოთ შარშანდელი და თუ საჭირო დარჩა ახლებიც დავამზადოთ.

სასურველია წარწერა რამდენიმე პლაკატზე ინგლისურადაც.

6) მოირთოს სამაისოდ სახალხო მატარებლები ბათომ—ბაქო—ერევნისკენ წარწერით: „გაუმარჯოს პირველ მაისს—სალამი თბილისის პროლეტარიატისაგან".

7) ნაძალადევის გადასასვლელი ხიდის მორთვა მივანდოთ რკინის გზის ამხანაგებს. ხოლო სამმართველოს, სადგურის, ცენტრალური კომიტეტის, რედაქციების და სხვა საზოგადო დაწესებულებების მორთვა კი ადგილობრივი ამხანაგების მოვალეობაა.

8) ვცდილობთ ამ დღისათვის სამაისოთ მორთულ მოკაზმული რამდენიმე ავტომობილი, რომელნიც ქალაქში ივლიან და ალაგ-ალაგ, როცა ხალხი მოგროვდება, პირველ მაისის მნიშვნელობაზე ილაპარაკებენ ამისათვის დანიშნული ამხანაგები.

9) პირველ მაისს დარიგდეს ხალხში მოწოდება სხვადასხვა ენაზე ამ დღის მნიშვნელობის შესახებ და თუ მოხერხდა ერთ-ერთი ჩვენი გაზეთთაგანიც შეუფერდეთ ამ დღეს და ისიც დარიგდეს ხალხში.

10) პირველ მაისს უნდა შეჩერდეს ყოველივე მუშაობა, ვაჭრობა, მრეწველობა, ხოლო არსებულ მდგომარეობათა გამო რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა არ შეწყდება.

პირველი მაისი უნდა გახდეს ჩვენი სოლიდარობის, ჩვენი ძალის, ჩვენი ორგანიზაციის და ჩვენი ერთობის მაჩვენებელი—საზომი ბარომეტრი.

ამხანაგებო!

პირველი მაისი თქვენი დღეა. პირველი მაისი საერთაშორისო მშრომელთა დღესასწაულია.

რიცხვმრავლად, ერთსულოვნად, გამოუკლებლად მიიღეთ დღესასწაულში მონაწილეობა.

წითელი ლენტით გულზე...
წითელი ყვავილით ხელში გავწიოთ ძმათა სასაფლაოსაკენ.
გაუმარჯოს პირველ მაისს!
გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!
გაუმარჯოს სოციალიზმს!

სამაისო კომისია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ვცოდნით, დელეგატების ყრილობა უმცირესობას აირჩევს. ეხლანდელ დროში დიდი სახელმწიფოთა განსაკუთრებული ძალა-უფლება უფრო გაძლიერებას და ვერ მოსპობს არსებულ წინააღმდეგობას, თუმცა პარიზის სქემა ლიგისა დამყარებულია ძალაზე და არა სამართლიანობაზე, მაგრამ მაინც ასეთი იდეის არსებობა თვალსაჩინო ისტორიული ფაქტია. ხალხთა ლიგის არსებობის წყურვილი იმდენათ ძლიერია, რომ ყველა მზათაა მიიღოს ასეთი ლიგა და არ უარყოს იგი მხოლოდ იმიტომ მისი ფორმა სწორე არ არის.

ინგლისური პრესის ცნობები.

ვენიდან იუწყებიან, რომ უნგრეთმა თხოვნით მიმართა ბრიტანიის მისიას, დაუყონებლივ ჩამოაგდოს დროებითი ზავი. ბელა კუნი სთხოვს ამასვე რუმინიის მთავარ შტაბს და წინადადებას აძლევს გადააყენოს საბჭოები და ძალა-უფლება დემოკრატიას გადასცეს.

ბავარიის მთავრობამ უარი განაცხადა შეკრას დროებითი ზავი, რომელიც მიუნხენის კომუნისტებმა მოითხოვეს, რომელნიც დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებას სცდილობენ.

პრაგიდან იუწყებიან, რომ ეროვნულ თავდაცვის მინისტრმა კლოფაჩმა მიტინგზე, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინათ პრაგაში გაიმართა, სიტყვა წარმოსთქვა. ჩეხო-სლოვაკების მინისტრი რჩევას იძლეოდა შეკრან მეგობრული კავშირი პოლონეთთან, რომ შექმნან ძლიერი ანტი-გერმანული ფრონტი, რომელშიაც შევა რუმინია და სამხრეთი სლოვია.

ციურიხიდან მოსული ცნობები იუწყებიან, რომ გერმანიის ეროვნულ თავდაცვის მინისტრი ნოსკემ, რომელმაც შინაგან საქმეთა მინისტრთან ერთად ინახულა აღმოსავლეთის ფრონტი, დანციგში იყო და „ალგემეინე-ცეიტუნგ“-ის თანამშრომელს ესაუბრა. ნოსკემ განაცხადა, რომ ბოლშევიკური საფრთხის თავიდან აცილება შესაძლებელია. ბერლინის სახალხო თავდაცვის რაზმები და მეზღვაურები იცავენ. სპარტაკელების ბელადებმა, როგორც სჩანს, დაკარგეს სატახტო ქალაქის აღების ყოველივე იმედი. მიუნხენის ამბების შესახებ ნოსკემ სთქვა: ის იყო სპარტაკელების უკანასკნელი ცდა, რომ მათ ხელთ ჩაეგდოთ ძალა-უფლება.

გუშინ იტალიის წარმომადგენლებმა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში მოითხოვეს იტალიისთვის საკმარისი ნახშირის მიცემა.

საფრანგეთის აკადემია შეამდგომლობს, რომ საზავო ხელშეკრულება ფრანგულ ენაზე შეადგინონ.

საფრანგეთიდან მოსული ცნობები იუწყებიან, რომ საფრანგეთი და ინგლისი ყოველთვის ვერ აუვლის გვერდს ადრიატიკის საკითხს; თუ იტალია წასვლის მუქარას განაგრძობს იმ შემთხვევაში, თუ მას ფიუმეზე უარი უთხრეს, მაშინ დანარჩენები უპასუხებენ.

„ჩვენ სიამოვნებით მხარს დაუჭერთ ლონდონის ხელშეკრულებას, თუ თქვენ დაჟინებით მოითხოვთ ფიუმეს, რომელიც ხელშეკრულების ძალით სლოვაკელებს უნდა გადაეცეთ, მაგრამ ხელს ვიღებთ პასუხისმგებლობაზე ხელშეკრულების დარღვევის გამო, რომელიც თქვენ გვდევთ“. ორლანდომ ამის წინათ სთქვა, რომ იტალიის ხალხი დარწმუნებულია, რომ დალმაცია და ის ადგილები, რომელიც ადრიატიკის ზღვის ნაპირზე მდებარეობს იტალიას უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა ზოგიერთმა ჩვენგანმა იცის, რომ ეს ასე არ არის. მაგრამ ხალხი რომ თ არის დარწმუნებული ამაში როგორც სჩანს რამში ორლანდომ უნდა ცადოს რომ პარლამენტი შეურიგდეს ადრიატიკის საკითხში იტალიის დამარცხებას.

აკადემიის ხუთშაბათის სხდომაზე მიიღეს დადგენილება და კლემანსოს შემდეგი განცხადება გაუგზავნეს: „საფრანგეთის აკადემიას თავის მოვალეობად მიაჩნია გაახსენოს, რომ 2 საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ფრანგული ენა დიპლომატიის ენა იყო და იხმარებოდა არა მარტო იმ მოლაპარაკებაში, რომელშიაც საფრანგეთი იღებდა მონაწილეობას, არამედ ისეთ მოლაპარაკებაშიაც, რომელთანაც მას არავითარი საერთო არა ჰქონია. ეს ჩვეულება საფრანგეთს არ მოუტყვევია ძალით და შემოღებულ იქნა ხალხთა ურთიერთ შეთანხმებით ფრანგული ენის სისწორის და გარკვეულ ხასიათის გამო. თუ ორი საუკუნეზე მეტ ხანში დაცული ჩვეულება ეხლა დაარღვიეს და ხელშეკრულების ტექსტები სხვადასხვა ენებზე გამოაქვეყნეს და არა, ყველასთვის გასაგებ, ფრანგულ ენაზე, მაშინ შესაძლებელია საერთაშორისო დამოკიდებულებაში იჩინოს თავი გაუგებრობამ ხელშეკრულების სხვადასხვა აზრით გაგების გამო და საფრანგეთისთვის ძვირფასი ჩვეულება დარღვეული იქნება. ამიტომ აკადემია დარწმუნებულია ხელშეკრულების და შეთანხმების ოფიციალური ტექსტი ფრანგულ ენაზე იქნება შედგენილი.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი. აპრ. 27. ჩრდილოეთ დონეცის შესართავთან ბრძოლა ტროიცკოის და ველიკოკნიაჟის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა მოწინააღმდეგის იერიშები მოიგერიეს და მდ. მანიჩზე გადასასვლელი ადგილები დაიჭირეს. ტყვედ ჩავიგდეთ 2600 კაცზე მეტი, 9 ზარბაზანი და მრავალი სამხ. დოვლა. აღმოსავლეთის ფრონტი. მოწინააღმდეგის იერიშები ბუზულუკის ჩრდილო-აღმოსავლეთით კონტრ-იერიშებით მოვიგერიეთ. ჩვენი შეტევა ბუგურუსლანის რკინის გზის ორივე მხარეზე გრძელდება. ჩვენმა ჯარმა სერგიევსკი დაიჭირა. ბუზულუკის რაიონში ჩვენ სდ. შენტალი დავიბრუნეთ. ჩისტოპოლის რაიონში ჩვენმა ჯარმა ჩისტოპოლი დასტოვა და 10—15 ვერსით ჩრდილოეთით დაიხია. ელაბუგის რაიონში. ელაბუგის ჩრდილოეთით ბრძოლა გრძელდება. დანარჩენ ფრონტზე დროგამოშვებით ბრძოლაა და მზვერავები მოქმედებენ. აკერმანი. აპრ. 25. სევასტოპოლის დროებითი ზავი გაგრძელდება. საფრანგეთის პოლკოვნიკ ტრუსონმა განაცხადა, რომ დროებითი ზავის ბოლოს მოკავშირენი ქალაქს დასცლიან.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ს. სოც.-დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.

◆ არტაანის ფრონტზე 24 აპრილს ჩვენს მზვერავებს შეტაკება ჰქონდა 400 კაცისაგან შემდგარ ქურთების რაზმთან. რაზმი გარეკილ იქნა და ჩვენმა მზვერავებმა დაიკავა სოფელი ალვაშენი.

◆ სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებით ამ მოკლე ხანში მოხდება თფილისის ყველა საშუალო სასწავლებელთა რევიზია.

◆ საბარგო ავტომობილზე თავდასხმა. 25 აპრილს ღამით სოფ. მეჯვრისხევთან მიმავალ საბარგო ავტომობილს სროლა აუტეხეს ბოროტმოქმედებმა. მოკლულ იქნა პოლკ. ჩიქვაიძე და შოფერი.

◆ დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიაში ირჩევა საკითხი რესპუბლიკის სამხედრო ძალის ორგანიზაციის შესახებ. კომისიაში წარდგენილია ორი პროექტი: ერთი სამხედრო სამინისტროსაგან, მეორე—სახალხო გვარდიისაგან.

◆ მიწათ - მოქმედების მინისტრის საგანგებო რწმუნებულად ბორჩალოს მაზრაში დაინიშნა რაფიელ რამიშვილი.

◆ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა დაამტკიცა საქარ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის არჩევნები. პალატის პირველი ყრილობა დაინიშნა თფილისში 4 მაისს, დილის 11 ს. ყრილობას გახსნის ფინანსთა მინისტრი.

◆ მასწავლებელთა შორის, 30 აპრილს, საღამოს 7 საათზე, პირველ ვაჟთა გიმნაზიის ბინაზე დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების მასწავლებელთა კავშირის მთავარი გამგეობის, ამავე კავშირის თფილისის განყოფილების გამგეობის, აღმოსავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების კავშირის მთავარი გამგეობის და დამფუძნებელი კრების განათლების კომისიის შეერთებული კრება.

◆ ლექცია. დღეს, საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტის მეორე განყოფილებაში (ორთაჭალა) დანიშნულია მორიგი ლექცია: 1) ინჟ. ალშიბაიას „ელექტრობაზე“, 2) ილ. ნაკაშიძის—მოხსენება „დეპუტაციასთან მოგზაურობის შთაბეჭდილების შესახებ“. 3) ექ. ტურიაშვილის „გიგიენა“.

◆ აფიცრის ღირსებისთვის შეუფერებელ მოქმედებისა და სხვა დანაშაულობისათვის ქართული ლეგიონის სარდალმა სამსახურიდან გამორიცხა ამავე ლეგიონის კორნეტი სოხაძე.

◆ შულავერის ღვინო. ყოფილ სამეფო მამულის საწყობში იყიდება 10 ათასი ვედრო შულავერის წითელი ღვინო, ვედრა 70 მანეთად უჭურჭლოდ. პირობების გაგება შეიძლება საწყობში.

◆ ფრანგული კლუბი. დღეს განთავის ქუჩაზე გაიხსნება ფრანგული კლუბი.

◆ გაძარცვა. 27 აპრილს, საღამოს 7 საათზე. სასტუმრო „ზღვში“, ვაგზლის ქუჩაზე, შევიდნენ რამოდენიმე შეიარაღებულნი და სასტუმროში მცხოვრებთ წაართვეს 27,000 მანეთი და მიიმალნენ. იქვეთ შეიპყრეს ბაქრაძე, ჩიხლაძე და [illegible].

◆ ცეცხლი. კვირას, დილის 11 საათზე, ვოგზლის ახლო წითელი ჯვარის სადგომის გზაში ორთქლმავალის „მანევრის“ დროს დაღვრილ ნავთს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც გადაედო იქვე დალაგებულ ცარიელ ყუთებს, რომელშიაც იყო ბურბუშელა და მოსალოდნელი იყო დიდი ცეცხლის გაჩენა, მაგრამ იქვე მდგომ ჯავშნიან მატარებ. „კამანდის“ მეცადინეობით, რომელსაც ხელმძღვანელობდა თვით ვ. გოგუაძე და აგრეთვე გარეშე პირების დახმარებით ცეცხლი ჩაქრობილ იქნა.

◆ ქურდობა. 27 აპრილს, დილის 5 საათზე, სილაზნოვების თამბაქოს მაღაზიიდან, ელისაბედისა და ბატარეინის მოსახვევში, ბოროტ-მოქმედებმა მოიპარეს 11 ყუთი პაპიროსი, 86310 მანეთის ღირებული. იქვეთ შეიპყრეს 5 მუშა.

— 27 აპრილს ღამით ინჟ. ტერ-მიქელოვის ბინიდან, ოლღას ქ. № 49, მოიპარეს 50,000 მ. ნივთები. იქვეთ შეიპყრეს ტერ-მიქელოვის მოსამსახურე და მისი ძმა.

◆ ჯარისკაცი დავით სიმონის ძე კილაძე მსახურებდა მესამე პოლკში. ბოლო დროს იწვა ახალციხის ლაზარეთში. გამოსწერეს 10 აპრილს. თუ ვინმემ რამე იცის მის შესახებ, ეთხოვება აცნობოს თფილისში, ბართლომე კილაძეს, ველიამინოვის ქ., № 8, სტამბაში.

ქრონიკა.

დღეს, საღამოს 6 საათზე ნიჟრის ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონის კოლექტივის კრება.

— დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია კუკიის მცირე კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს, 29 აპრილს სღ. 6 ს. შესდგება 1-ლი რაიონის ახალგაზრდა მარქსისტთა საერთო კრება.

— 29 აპრილს შესდგება სოციალ-დემოკრატ ოსების კრება, თფილისის ტრამვაის პარკში საღ. 5 საათიდან.

— დღეს, 4 საათზე დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თფილისის კომიტეტის სასწრაფო კრება.

პროვინციის ქრონიკა.

გორი. ოთხშაბათს, 30 აპრილს, გორში შესდგება გორის მაზრის სოც.-დემ. ორგანიზაციათა ცენტრის კრება ფრიად საჩქარო საკითხების გასარჩევად. ყველა წევრების და პასუხისმგებელ პარტიულ მომუშავეთათვის დასწრება სავალდებულოა. სხდომა გაიხსნება ცენტრის ბინაზე (ერისთავის ქ. № 15) დილის სრულ 11 საათზე.

მთავრობაში

24 აპრილს მთავრობამ დაადგინა:

მიეცეს დუშეთის ერობას 60,000 მანეთი ათ მილიონიან ფონდიდან, მაზრის მილიციის და ადმინისტრაციის წარსული წლის ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად.

— მოწონებულ იქნას გზათა მინისტრის მოხსენება და დაწესდეს გადასახადის შემდეგი ნორმა:

1) ნელი სიჩქარის საქონლის უფასოდ შენახვის ვადა 48 საათიდან 24 საათამდე შემცირდეს. 2) საქონლის შენახვისათვის გადასახადი დაწესდეს აღნიშნულ 24 საათის შემდეგ პირველ სამ დღეში ფუთზე დღეში—25 კაპ. 4, 5, 6 დღეებში ფუთ. დღეში 50 კაპ. 7, 8 და 9 დღეებში 75 კაპ. 10, 11 და 12 დღეებში 1 მანეთი. 13, 14 და 15 დღეებში 1 მ. 25 კ. 16 დღიდან თვის დამლევამდე 1 მ. 50 კ. ერთი თვის შემდეგ ყოველ ნახევარ თვეში 9 მ.; 3) ვაგონის გაცდენის გადასახადი, განურჩევლად ღია თუ დახურული იქნება ვაგონი: პირველ დღეს 54 მ., მეორე 162 მ., მესამე 378 მ. მეოთხე და შემდეგ ყოველ დღეებში მიემატოს 378 მ.

სალამი დამფუძნებელ კრებას

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის რკინის გზის მასწავლებლების დელეგატთა პირველი კონფერენცია ულოცავს რა საქართველოს ხალხის ნებისყოფის გამომხატველს დამფუძნებელ კრებას ხალხის თვითმპყრობელობის დიდი ლოზუნგის თავისუფალ საქართველოს განხორციელებას, უსურვებს მას დემოკრატიის საკეთილდღეოთ ნაყოფიერ მუშაობას ყოველ დარგში და კერძოდ კი სახალხო განათლების საქმეში.

თავმჯდომარე რკ. გზის მასწ. დელ. პირველი კონფ. დ. ათაბეგი.

ინგლისური ბოლშევიზმი

ამ სათაურით „ოდესსკია ნოვოსტი“ (19 მარტის ნომერში) მოთავსებულია საზღვარ გარეთიდან სტ. ვოლსკის წერილი. წერილში, როგორც მკითხველი დაინახავს, ზოგიერთი სტრიქონები ცენზურას გამოუტოვებია. მიუხედავათ ამისა, წერილი არ არის ინტერესს მოკლებული. ეს წერილი არის მეორე. სამწუხაროდ, პირველი წერილი, რომელიც მოთავსებული ყოფილა 17 მარტის იმავე გაზეთში ჩვენამდე არ მოსულა.

„როგორც უკვე აღვნიშნე წინა წერილში, მასიური მოძრაობა მდაბიო ხალხისა სწარმოებს წმინდა პროფესიონალური მოთხოვნილებათა დროშის ქვეშ. მისი „ბოლშევიზმი“ გამოიხატება არა იმდენად პოლიტიკურ ლოზუნგებში, რამდენადაც მის თანდათანობით საერთო ტენდენციებში, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ ინგლისის მუშათა ორგანიზაციების ტრადიციულ ჩვეულებებთან. გარეშე მიზეზი გაფიცვის, მოძრაობის დაწყებისა იყო „გარდაქმნის სამინისტროს“ გადაწყვეტილება 47 საათის სამუშაო დღის შესახებ. „გარდაქმნის სამინისტრო“—ეს ისეთი დაწესებულებაა, რომელიც მოვალეა გადაიტანოს თავდაცვისათვის მომუშავე ქარხნებში მშვიდობიანი დროის მდგომარეობაზე, შეუფარდოს მშვიდობიანი დროის მოთხოვნილებებს ისინი, რომლებიც შეიქმნენ მთავრობის ინიციატივით და რომლებიც ამზადებდენ მხოლოდ სამხედრო მასალებს, და ბოლოს განახორციელოს მუშათა კანონმდებლობაში დასახული გეგმა სოციალურ რეფორმებისა.

„მწარმოებლებთან და მუშათა ორგანიზაციებთან დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ გამომუშავებულ იქნა სქემა 47 საათის სამუშაო დღისა (ე. ი. კვირაში 8 საათი ყოველ დღე და 7 საათი შაბათობით), რომელიც უნდა გატარებულ იქნას სახელმწიფოს ყველა სამრეწველო დაწესებულებებში. ეს სქემა გადასინჯულ და დაწვრილებით განხილულ იქნა ყველა მუშათა ორგანიზაციებში და მას მხარი დაუჭირა მუშების დიდმა უმრავლესობამ (75 პროცენტიდან 85 პროცენტამდე). მაგრამ ვერ მოასწრეს მისი ამოქმედება, რომ სინდიკალისტებმა და მათთან ერთად მომუშავე „ბოლშევიკებმა“ დაიწყეს ფართო აგიტაციის წარმოება და მოითხოვდენ სამუშაო დღის უფრო შემცირებას და სამუშაო ქირის კიდევ უფრო გადიდებას. საერთო ფსიხოლოგიური მდგომარეობა კიდევ უფრო ხელს უწყობდა ამნაირ აგიტაციას........

(ამოღებულია 11 სტრიქონი).

„თქმა არ უნდა, რომ მუშათა წრეებში განწყობილება გაფიცვისადმი უფრო აშკარად გამოიხატებოდა. ყველაზე ნათლად ეს მოძრაობა გამოიხატა ირლანდიაში, სადაც მას ხელს უწყობდა პოლიტიკური მოძრაობა, გამოწვეული სინფეინერების მოღვაწეობით. დამოუკიდებელი ირლანდიის მომხრენი ჰფიქრობდენ, რომ „დამოუკიდებელი ირლანდიის რესპუბლიკის“ ლოზუნგი გააერთიანებდა მთელ დემოკრატიას. მაგრამ გაერთიანება გამოდგა მეტად მოკლე ხნისა, რადგანაც სინფეინერების მიერ მოწვეულ ირლანდიის ეროვნულ პარლამენტში პირველ დღესვე მოხდა განხეთქილება ნაციონალისტებსა და ფართო მუშათა მასსებს შორის. ირლანდიის რესპუბლიკანები ელოდნენ ხალხის ენტუზიაზმს, მაგრამ ენტუზიაზმი არ იყო: ხალხი სდუმდა, სდუმდა ნახევრად ირონიულად, ნახევრად ზიზღ-მორეულად. დიდი სოციალურმა მოთხოვნილებებმა განზე გადასდეს ლტოლვილებანი პოლიტიკისა და გრაფინია მორკევიჩის და გრაფ პლუნკეტის ზურგს უკან უკვე გამოჩნდა სასტიკი სახე აღელვებულ ხალხისა. არც დუბლინმა, არც ბელფასტმა არ მიაწოდეს მხარი [illegible] ირლანდიის სამშობლოსათვის. მაგრამ მაგიერში როგორც დუბლინმა, ისევე ბელფასტმა პირველებმა გაილაშქრეს 47 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ. პროფესიონალურ კავშირთა ლიდერების სიტყვების და ხვეწნა-მუდარის მიუხედავად დაიწყო აგიტაცია 44 საათის სამუშაო დღის შემოსაღებად და ზედმეტი სამუშაოების მოსასპობად. მოძრაობას ხელმძღვანელობდა შედარებით მცირე რიცხვი სინდიკალისტებისა...

(ამოღებულია 8 სტრიქონი).

„ბელფასტიდან მოძრაობა გადავიდა მეზობელ რაიონ კლაიდში, სადაც სინდიკალიზმის ბუდეები იყო. იანვრის უკანასკნელ დღეებში მღელვარება გლაზგოს მოედო...

(ამოღებულია 4 სტრიქონი).

„გლაზგოს და კირკკუდის მეთაურობით ხალხი მრავალ ათასიან ჯგუფებად შეიკრიბა მერის სახლის წინ და მოითხოვდენ მუნიციპალიტეტისა და მთავრობისაგან დაუყონებლივ ჩარეულიყვნენ ამ კონფლიქტში...

(ამოღებულია 15 სტრიქონი).

„კლაიდის შემდეგ სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა ქვანახშირის მაღაროების მუშათა ფედერაცია. წამოყენებული მოთხოვნილებანი სამ მთავარ დებულებაში გამოიხატებოდა: სამუშაო ქირის გადიდება 30 პროცენტით, 6 საათის სამუშაო დღის შემოღება და მაღაროების გადაცემა სახელმწიფოს საკუთრებაში...

(ამოღებულია 8 სტრიქონი).

„როგორც გლაზგოში, აქაც გაფიცვის მხარეზე უმცირესობა იყო. ქვანახშირის მაღაროების რაიონებიდან ზვირთები ლონდონს მიუახლოვდა...

(ამოღებულია 13 სტრიქონი).

„უკანასკნელ საგაზეთო ცნობების თანახმად მოძრაობა დამთავრდა ისე, რომ შეტაკება არ მომხდარა და ორივე მხარემ დაუთმო. ინგლისმა წინადაც იცოდა კოლოსალური ძლიერი გაფიცვები, მაგრამ ეხლანდელი გაფიცვის მოძრაობას სულ ახალი ხასიათი ეძლევა. ჯერ—ერთი, ის მიმდინარეობს ტრედ-უნიონების ხელმძღვანელობის გარეშე და ხშირად მათი ნების წინააღმდეგაც. მეორედ, ის შეღებილია ხულიგანობის დიდი დოზით...

(ამოღებულია 3 სტრიქონი).

ინგლისის მუშათა მოძრაობამ სულ არ იცოდა ეს სახე მოძრაობისა. დღემდის ესეც ეწინააღმდეგება წინანდელ ტრადიციებს—წაყენებულ მოთხოვნილებებს იმუშავებენ საჩქაროდ, თითქმის წინასწარ განუხილავად. და თუ პირველი თვისება არის პირდაპირი შედეგი ტრედუნიონების ორგანიზაციების მოძველებისა, ორი უკანასკნელი მოწმობს იმ ღრმა შინაგან კრიზისზე, რომლებიც მოედო ფართო მუშათა მასსების შეგნებას. ეს, რასაკვირველია, არაა პრინციპის ბოლშევიზმი, არამედ—ბოლშევიზმი განწყობილებისა. და სახელმწიფოს, რომელმაც ამდენი მსხვერპლი მიუტანა ომს, შეიძლება არა ნაკლები მსხვერპლის გაღება დასჭირდეს, რომ ჩააყენოს სტიქიური აღელვება მასსებისა მიზანშეწონილი და შემოქმედებითი სახელმწიფოებრივი აღმაშენებლობის კალაპოტში.

უპატრონო მაზრა

ამ დღეებში მომიხდა თიანეთის მაზრაში ყოფნა. ნეტამც არ წავსულიყავი. მაინცა და მაინც განებივრებული არა ვარ პროვინციებში სანუგეშო სურათთა ხილვით, მაგრამ ის რაც თიანეთში ვნახე—თითქმის დაუჯერებლად ეჩვენება მკითხველს. მართალია ადრევაც უნუგეშო მდგომარეობაში დამწყვდეულია მაზრა, მაგრამ დღევანდელი ყველას აღემატება. შევდგით თუ არა ფეხი მაზრაში მე და ზაქარია გურულმა, მაშინვე შემოგვჩივლეს: ნეტავ ვის რა გველი შევუწყვეთ, რომ ასეთს მდგომარეობაში მყოფთ არავინ გვეხმარებაო. მართლაც მთლად უპატრონოთაა მაზრა მიტოვებული. ვერ ჰნახავთ დაწესებულებას, რომ ოდნავ მაინც ასრულებდეს თავისს მოვალეობას. ადმინისტრაცია, როგორც ძველად, ისე დღესაც სდგას ყოველ-გვარს კრიტიკის გარეშე. ეგენი უფრო ოსმალეთის ფაშებს მოგვაგონებენ, ვიდრე დემოკრატიულ რესპუბლიკის მოსამსახურეებს. საითაც უნდა გაიხედოთ, ყველგან მათ უჩივიან. მექრთამეობა, ძალმომრეობა და სხვანი საქმენი [illegible] აქ ღვთაებრივ მოვალეობად ითვლება. მილიცია მთლად დაშლილია. მაზრაში ასზე მეტი მილიციონერი უნდა იყოს, ახლა კი მათი რიცხვი თითებზე ჩამოითვლება. სამწუხაროდ ეს მცირე რიცხვიც ვერა სდგას სათანადო სიმაღლეზე. არც გასაკვირველია, ჯამაგირების სიმცირე და მისი თავის დროზე მიუღებლობა ილაჯს უწყვეტს მათ და აძლიერებს საზოგადო საქმეს.

არავითარი შედეგი მოვალეობის ასრულებისა თიანეთში მოსამსახურეთათვის არ არსებობს. ჩვენ მოწმენი გავხდით ერთი აღმაშფოთებელი ფაქტისა, რომელიც მოხდა აღდგომა დღეს. მაშინ თითქმის ყველა მაზრის კომისარის მოადგილიდან დაწყებული—ფოსტის უფროსით გათავებული—მთვრალი იყო და პირში ენა ძლივს უტრიალებდათ. სად იყო მორიდება, ან თავაზიანობა? ჩვენ იქ ინკოგნიტოთ არ გვეპირა თავი, ყველამ კარგათ იცოდა, რომ დამფუძნებელ კრების წევრნი ვიყავით და არგუსის თვალებით ვათვალიერებდით თიანეთის სინამდვილეს—მიუხედავათ ამისა, ეს პირნი ლოთი-ფუთიანობას არ იშლიდნენ და ისე ხარბად ეწაფებოდნენ ღვინოს—თითქოს ჰშიშობდნენ: ეშმაკმა უბედურება რამ არ მოხდეს და მთლად არ ამოშრეს ქვევრებში ღვინოებიო. დეპეშის გამოგზავნა გვინდოდა შინაგან საქმეთა სამინისტროში—სამჯერ გავგზავნეთ ფოსტაში და ძე ხორციელი არავინ დაგვხვედრია იქა. მოხელეთა და ადმინისტრაციის ამ „სიცქვიტით“ რაღა თქმა უნდა ისარგებლებდა „ხელის მომთბობი“ და მართლაც ვიღაცას—უშველია შინაურს—ამოუცლია მთვრალ ფოსტის უფროსისათვის გასაღები, გაუღია ფოსტის ყუთი და წაუღია ფული. კომისარმა ფარსაგად არცკი გამოიძია საქმე, დააპატიმრა ფოსტის ყველა მოსამსახურენი და თფილისში დეპეშა აფრინა, ფოსტიდან 21 ათასი მანეთი მოიპარესო. ეს რა თქმა უნდა ელდად ეცემოდა საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის უფროსს მეველაძეს და უმალ გამოგზავრებულა თიანეთში და აღმოჩენილა რომ მოპარულა მხოლოდ ორი ათასი მანეთი [illegible]. ეს გარემოება რა თქმა უნდა უფრო მეტს ამბობს იმისას თუ, რა ხალხის ხელთაა საცოდავი მაზრა.

ამავე დღეს საყარაულოს დუქანში გაეძარცვათ ხევსური ბაბია შინდარაული. საწყალი! მთელი დამე კომისარიატში ტრიალებდა იმ იმედით, რომ ეგება მილიციონერები დაედევნებიან ყაჩაღებსაო, მაგრამ სად იყო მისი გამკითხავი.

ბევრი, ძალიან ბევრი საჩივლელი აქვთ მცხოვრებლებს, მაგრამ პირდამუწულნი არიან. ყველაფრის თქმას ვერა ჰბედავენ. ეშინიანთ, მადლი მატლათ არ გადაექცეთ და თავში საცემად არ გაიხადონ საქმე. საკმარისია ვისმეზე ჩივილი შეიტყონ, მათ დატუქსვის ნაცვლად გათამამება არ იგრძნონ და მუქარით ცა არ გაგვიწითლონო.

ამას წინეთ ძლივს დავიარხევინეთ გული რამდენიმე მავნე პირის დაპატიმრებით, მაგრამ არ გაუშვია დიდხანს, რომ ისევ გაანთავისუფლეს და საშუალება მისცეს განაგრძონ თავიანთი „მოღვაწეობანი“.

მართალია, ზოგიერთი ადმინისტრატორი სრულებით მოიშორეს მაზრას, მაგრამ ჯერ ერთი ისაა საცოდავი, რომ მათ მოადგილეებს არაფრით შეუმსუბუქებიათ ხალხისთვის ტანჯვა-ვაება და მეორეც ისა, რომ იქიდან განდევნილებმა სხვა მაზრაში ჰპოვეს ადგილი თიანეთში ყველას ერთი რამ აკვირვებს: როგორ მოხდა, რომ აქ დაწუნებული პირნი კარგნი აღმოჩნდნენ ბორჩალოს მაზრისათვის, რომელიც უფრო მეტად საჭიროებს სიფრთხილით და მცოდნეობით მოპყრობასო.

— მერმე, სადაა ერობა, რატომ არ შეებრძოლება ამდენს უმსგავსობასაო— გაიკვირვებს მკითხველი. სამწუხაროდ ეს ერობა იმ ზღაპრულ ნაძვრის თვალად გადაიქცა, რომელზედაც დიდი ხანია ოცნებობენ და ჯერაც ვერ ღირსებიან.

მართალია, რამდენჯერმე იყო ცდა ერობის მუშაობის დაწყებისა, მაგრამ მრავალ [illegible] საქმენი საგმირონი ისეთნი იყვნენ, რომ ადგილობრივი ორგანიზაციები უარს ამბობდნენ მუშაობაზე და სხვა დროისათვის მოითხოვდნენ მის გადადებას.

დღეს კი, რადგან საქმე უფრო უარესდება და მხოლოდ ერობას შეუძლიან ჯეროვნად მიხედოს მაზრას—ამიტომ იქაური ორგანიზაციები ეხლავე უნდა შეუდგნენ საარჩევნო მუშაობას და მალე შემოიღონ ერობა, თუ გვინდა, რომ მთლად არ [illegible] საქმეები და მტრის გულისად არ გახდეს თიანეთის მაზრის მშრომელი გლეხკაცობა.

დ. თურდოსპირელი.

საქ. პროფესიონალურ კავშირთა კონფერენცია

შრომის სამინისტროს მოხსენება.

(შემდეგი)

სამუშაო ქირა და შრომის სამინისტრო.

კითხვა სამუშაო ქირის შესახებ არის ყველაზე მძიმე, ყველაზე ძნელად გადასაწყვეტი საკითხი თანამედროვე ხანისა. დამტკიცებულია, რომ ნომინალური სამუშაო ქირის პროგრესიულად ზრდა იწვევს ამგვარადვე რეალური სამუშაო ქირის დაცემას. მუშა, რომელიც ეხლა იღებს 10—15 ჯერ მეტს შედარებით 1914 წ., ხმარობს თითქმის სამჯერ ნაკლებ მასაზრდოებელ ნივთიერებებს, ვიდრე ის ხმარობდა 1914 წელს, რომელთა რიცხვი 1914 წ. არ აღწევდა ადამიანისათვის საჭირო ნორმას. და მუშას უხდება გამონახოს შემოსავლის ახალი წყაროები, ან ხარჯოს შემონახული, თუ კი მას ასეთი აქვს. ფაქტიურად ეს ასეა. საავადმყოფო კასების ცნობები გვიჩვენებენ, თუ როგორ თანდათან იხარჯებოდა მუშების შემონახული სიძვირის ზრდასთან. და როცა მუშებს შემონახული მთლად გამოელია, მან დაიწყო ახალი გზების ძიება, ხან ზედმეტ მუშაობას ეწეოდა, ხან წვრილი ვაჭრობა დაიწყო. როგორ უნდა ავხსნათ ეს მოვლენა?

მიზეზები უნდა ვეძიოთ სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობის პირობებში. რევოლუციის ხანაში, ომის გათავების შემდეგ და გართულებული პოლიტიკური პირობების გამო, მრეწველობა სრულიად დანგრეულია, წარმოება არ არის, ახალი ღირებულებები არ იქნება. პირველ ხანებში ეს ისე საგრძნობი არ იყო, რადგანაც დაგროვილი იყო და სახელმწიფო არაფერს ქმნიდა, მაგრამ ამ დაგროვილით იკვებებოდა. მაგრამ ანარქიამ და ომმა მოსპო ეს „ზაპასები“. ისეთი მდგომარეობა იქნება, რომ სახელმწიფო ან სულ არ აწარმოებს, ან-და ძალიან ცოტას, მაგრამ მაინც ხარჯავს, აშკარაა ის სცხოვრობს ვალით, ამიტომაც ფულის (ქაღალდის) ნიშნების ფასი ასე ეცემა. თუ სახალხო მეურნეობის წაყვანა ასე გაგრძელდა, კრახი აუცილებელია. ამიტომ საჭიროა ამოძრავდეს ქვეყნის ყველა საწარმოვო ძალები, შეიქნას ახალი ღირებულებები, შემცირდეს სახელმწიფოს გასავალი მინიმუმამდე იმ დრომდე, ვიდრე არ გამოსწორდება სახალხო მეურნეობის ეკონომიური ბაზა. ამასთან უშუალოთ დაკავშირებულია კითხვა სამუშაო ქირის შესახებ. საჭიროა, რომ მუშამ ნამდვილად მიიღოს შრომის ქირა, შექმნას ნამდვილი ეკვივალენტი თავის შრომისა. ეხლა ეს სამწუხაროდ არ არის. სამინისტროს ანგარიშით დამტკიცდა, რომ შრომის ნაყოფიერება დაეცა, რომ მუშა არა თუ არ ქმნის ზედმეტ ღირებულებას, არამედ ვერ ქმნის იმ პროდუქტსაც კი, რომლის ღირებულებას შეეძლოს დაფაროს სამუშაო ქირის საერთო ჯამისა. და სანამ შრომის ნაყოფიერების დაცემა ფაქტია, სანამ არ შეიქმნება ისეთი პირობები, როცა სახელმწიფო შექმნის მეტს, ვიდრე დახარჯავდეს, მანამდე კითხვა სამუშაო ქირის შესახებ გადაუჭრელი დარჩება. მუშებმა შეიძლება მიიღონ ისეთი „სტავკები“, რომ

ნორმალური ცხოვრება შეეძლოთ, მაგრამ ეს დროებითი გამარჯვება იქნება, რადგანაც წარმოება დაეცემა, და ცხოვრება ისე გაძვირდება, რომ ეს ჯამაგირები მათ მოთხოვნილებებს ვეღარ დააკმაყოფილებს. გამოსავალი აქედან ერთად-ერთია—მწარმოებელ ძალების მიმართვა, რომ შრომის ნაყოფიერებამ იწიოს. ზევით აღვნიშნეთ, რომ შრომის ნაყოფიერების დაცემა ფაქტია. სამინისტროს არა ერთხელ მიუწვევია მუშები ამ კითხვის გამოსარკვევად და გამორკვეულა, რომ ამის მიზეზები მრავალია,—სხვათა შორის, ისიც, რომ მუშის შრომის ხანგრძლივობა საგრძნობლად შემცირდა. რამდენადაც სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რომ შრომის ნაყოფიერების დაცემის მიზეზები, რომლებიც მუშათა გარეშე არსებობენ, მოსპოს, იმდენადვე მუშებმა უნდა მიიღონ ზომები იმ მიზეზების მოსასპობად, რომლებიც მათში მდგომარეობენ. ამას მოითხოვს ქვეყნის საწარმოო ძალთა აღორძინება, რომლის გარეშე მუშების არსებობა შეუძლებელია. ამ მიმართულებით სამინისტრო აწარმოებდა მუშაობას, ანკეტების, გამოკითხვების, დიაგრამების და სხვ. საშუალებებით. სამინისტრო ფიქრობს მუშებს, რომ ხელფასის მომატების პრობლემა გადაიჭრება შრომის ნაყოფიერების აწევით. ფაქტიურად, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, 8 საათის სამუშაო დღე არ არის თუმცა ეს კანონი სასტიკად ტარდება, მაგრამ მუშა იმუშავებს რა 8 საათს, მერე სხვაგან მიდის და იქ მუშაობს, რადგანაც ის მას არ ჰყოფნის დასაკმაყოფილებლად, და ასე 10—11 საათს მუშაობს. მაგრამ უნდა ვცადოთ, რომ თუ იგი 8 საათს ისევე ინტენსიურად იმუშავებდა, როგორც ომამდე მუშაობდა, მისი სამუშაო გაამართლებდა წარმოების ხარჯებს. ამ გზას შეკავშირებული მუშები უკვე დაადგნენ. ისინი გარანტიას აძლევენ მწარმოებელს განსაზღვრულ ქირაში დაამზადონ განსაზღვრული რაოდენობა პროდუქტის (გაკვეთილი) ეს სისტემა უკვე მოქმედობს ლითონზე მომუშავეებში, შეთამბაქოებში და იწყება რკინის გზის სახელოსნოებში (იქ ხდება ჯგუფ-ჯგუფობით რეგისტრაცია). მაგრამ თუ განსაზღვრული ხნის მუშაობის სისტემა არ მოგვცემს საკმაო რიცხვს პროდუქტებისა, მუშათა კლასის გადასარჩენად საჭირო იქნება ნარდით მუშაობის დაშვებაც. ეს საჭიროა გარკვეულად გაირკვეს, რადგანაც თუ მაქსიმალური ზომები არ იქნება მიღებული ისე შეუძლებელია სახელმწიფო მეურნეობის გადარჩენა და მუშათა კანონმდებლობის წარმოება.

სამუშაო ქირის მოსაწესრიგებლად სამინისტროს უხდება დიდი შრომის დახარჯვა. ის გარემოება, რომ უმრავლესობა წარმოებისა, ეკუთვნის სახელმწიფოს, ფრიად ართულებს და აძნელებს საქმეს. სამინისტროს უხდება ჯამაგირების დაწესება, რაც უკვე მოახდინა. რკინის გზელების, ფოსტა-ტელეგრაფის, გზათა, პორტის მმართველობის მოსამსახურეთა, ლითონზე მომუშავეების და ელექტრიკების (სახელმწიფო წარმოებებში დაბანდებულების) მიმართ. სამინისტროს ხშირად მიმართავენ, როგორც აწარმოებლები, ისე მუშები ხელფასის დასაწესებლად და სამინისტროს უხდება სამუშაო ქირის ტარიფიკაცია.

სამინისტრო ჰფიქრობს მუშათა და მწარმოებელთა ორგანიზაციებთან შეთანხმებით დაარსოს სატარიფო პალატა და სატარიფო კომისია, რომ ყველა კოლექტიური ხელშეკრულებების დადება ერთ დროზე ხდებოდეს (მაგალითად 1 იანვრიდან 1 ივლისამდე) და იკვრებოდეს განსაზღვრულ ხანს, რომლის განმავლობაში არავის უფლება არ ექნება შეცვალოს ჯამაგირები სპორადიულად. ეს საშუალებას მოგვცემს სპეკულიაციასთან ენერგიული ბრძოლისაც. ამასთანავე აწარმოებლები უფრო კარგად წაიყვანენ საწარმოო საქმეებს და ასე ხელი შეეწყობა საწარმოო ძალთა განვითარების საქმეს. შემოღება ერთნაირი „სტავკების" შრომის ყოველი დარგების კვალიფიკაციის თანახმად, ხელს შეუწყობს მუშათა მასების შეკავშირებას. ეს კითხვა და საერთოდ სამუშაო ქირის პრობლემა დეტალურად დამუშავებული აქვს სამინისტროს და ამ კითხვის შესახებ დაწვრილებით მოხსენებას გვპირდება შრომის სამინისტროს საქმეთა მმართველი გოლდმანი. ასეთია მოკლედ და ჯერ-ჯერობით შეუმჩნეველი მუშაობა სამინისტროსი სამუშაო ქირის და შრომის ნაყოფიერების მოსაწესრიგებლად. ყველა კონფლიქტები, რომლებიც ამ ნიადაგზე ჩნდებოდნენ, სწყდებოდნენ სამინისტროს მიერ თანახმად ზემოდ აღნიშნულ დებულებებისა.

ხმა ბორჩალოდან

II

წინა წერილში მე რამდენიმე სიტყვით მოვიხსენიე გერმანელთა კოლონია „ეკატერინფელდი" და იქვე აღვნიშნე ამ კოლონიის ყოველ მხრივი სილამაზე და მოწყობილობა. ეხლა ორიოდე სიტყვა ამ სოფელში დროებით მცხოვრებ რამოდენიმე ათეულ კომლ ქართველობაზე და სხვა ერების ყოფა-ცხოვრებაზე. ამათზე ამდენი ყურადღების მიქცევა ზედმეტი იქნებოდა, რომ ეს კოლონია „ეკატერინფელდი" ნამდვილი ცენტრი არ იყოს მთელი ბორჩალოს მაზრის, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად. საყურადღებო აქ ისაა, რომ რამდენად მოწყობილი და დაწინაურებული არიან კოლონიის ნამდვილი მკვიდრნი, გერმანელები, იმდენად ჩამორჩენილი და დაბეჩავებული არიან აქ დროებით მცხოვრებნი სხვა ელემენტები, რომელთა შორის ქართველობა ყველაზე მეტია რიცხვით. არავითარი საზოგადოებრიობა, არავითარი კულტურის ნიშან-წყალი ამათ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ. არა აქვთ არც სკოლა, არც სამკითხველო, არც გაზეთი, არც კოოპერატივი. და ეს მაშინ, როცა ყველა ესენი თვით გერმანელებს საუცხოოდ მოწყობილი და დაწყნებული აქვთ. მაგრამ ეს არც იმდენათ გასაკვირია, რადგან ყველა სხვა ელემენტები აქ, გარდა კოლონისტ გერმანელთა, როგორც ზევით იყო ნათქვამი, მხოლოდ დროებით მცხოვრებნი არიან. ამათ აქ არავითარი საკუთრება, არც სახლი, არც მიწა არ გააჩნიათ; ცხოვრობენ მდგმურებათ, ისიც დიდის ღვთის წყალობით, გერმანელების სახლებში და ითმენენ ყოველგვარ შევიწროებას სახლის პატრონებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ბინაში ქალაქის ფასებზე მეტსაც იხდიან. რაღა გასაკვირია ამის შემდეგ, თუ დღემდის ამ ხალხს ვერ მოუხერხებია რამე საზოგადოებრიობაზე და თვით შენებაზე ფიქრი და ზრუნვა. ამიტომაც არის, რომ მათ აქამდის თითქმის არავითარი წარმოდგენა არა აქვთ არა თუ დღევანდელ საქვეყნო მოძრაობაზე, არამედ—თვით ჩვენს დამოუკიდებელ საქართველოს ახალ წესწყობილებაზე; მათ აქამდის არ იციან, თუ რა არის დამფუძნებელი კრება, რომელიც უკვე შეიკრიბა და მუშაობს და სხ. და სხ. და ყოველივე ამას აქვს ადგილი ისეთ ერთის ნახვით კულტურულ სოფელში, როგორიც არის „ეკატერინფელდი" და რომელიც სულ რამდენიმე საათის სავალზეა ჩვენი დედა ქალაქ თფილისიდან.

ვერ ვსტყვით იმასაც, რომ ამ ხალხს არ ჰქონდეს აქ დასახლება, საკუთრების შეძენა და მეურნეობისათვის ხელის მოკიდება, მაგრამ აქამდის ამის საშუალებას განა მისცემდნენ მათ კოლონისტები, როცა ეს უკანასკნელნი თვით გერმანელებსაც კი სდევნიან კოლონიიდან, თუ მათი წინაპარი ამ კოლონიის დაარსებიდანვე ნამდვილი წევრი არ ყოფილა?!... ეხლა კი, როცა კოლონიის ამ გერებმა მთავრობა მიწებს ურიგებს უმიწა-წყლოებს, ესენიც ცდილობენ მიიღონ ნორმა და დასახლდნენ აქვე კოლონიის მახლობლად, რაც ჩემის აზრით ძლიერ საჭიროც არის და კარგი იქნება, რომ ჩვენი სათანადო უწყება მხარს დაუჭერდეს მათ ასეთ განზრახვას.

სიხარულით უნდა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ეს გამოფხიზლება კოლონიის სხვადასხვა ერების ელემენტების, განსაკუთრებით კი ეს უნდა ითქვას ქართველებზე, არ განისაზღვრება მარტო მიწის მიღების სურვილით, არამედ—ისინი ეხლა მზათ არიან მხარი დაუჭირონ ყოველგვარ კულტურულ დაწყებულებას, თუ კი ვინმე ამის თაოსანი და გამკვლევი გამოჩნდება. ჯერ-ჯერობით მათ მოახდინეს რამოდენიმე კრება და სხვათა შორის დაადგინეს გახსნან წიგნთსაცავ-სამკითხველო, დამფუძნებელ წევრთა ერთხმად დადგენილების თანახმად, განუსაზღვრელათ ერთ ვზივიბით. (წევრებათ გარდა ქართველებისა ჩაეწერნენ სომხები და თათრები) ხსენებული სამკითხველო უნდა გაიხსნას ამავე სოფელში 1918 წ. 19 დეკემბრის სომხებთან ბრძოლის დროს გმირულად დაღუპულ წითელ გვარდიელ და მთავარი შტაბის წევრ სანდრო მაისურაძის სახელობაზე. ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულითა და ენერგიით შეუდგა ხალხი ამ დაწესებულების დაარსების საქმეს აქ. ერთ კრებაზე ჩაეწერა 50 მეტი წევრი, განუსაზღვრელათ ერთვზივით და სესხისა და თავისთავ შორის იქვე შეაგროვეს თითო თუმანი სადამფუძნებლო საწევრო გადასახადი, თუ შემოწირულების სახით 1460 მან. შემდეგ კრებამ აირჩია სამკითხველოს დროებითი გამგეობის წევრებათ: ილიკო გოცირიძე, ვალი გასანოვი, ვანო ფარსადანოვი, ვანო ასლამაზაშვილი და დავით ზუიცა, ხოლო სარევიზიო კომისიის წევრებათ არჩეულ იქნენ: დავით საზანაძე, თათეოზ პალიევი და პავლე ეგოროვი. სანამ საბოლოოდ მოეწყობოდეს სამკითხველოს გახსნის საქმე, რამოდენიმე მოწინავე პირების თაოსნობით გამოწერილ იქნა გაზ. „ერთობა" ყოველდღიურათ ოც ოცი ცალი, რასაც სიამოვნებით კითხულობენ. განზრახულია აქედან სხვა სოფლებშიაც გავრცელდეს გაზეთები, რასაც, თქმა არ უნდა, დიდი მნიშვნელობა ექნება ამ ჩამორჩენილ და ყოველ-მხრივ მივიწყებულ კუთხეში ცოტაოდენი სინათლის შესატანათ.

რ. რ—ლი.

P. S. აქვე ვაცხადებთ სიას წიგნთსაცავ სამკითხველოს დამფუძნებელ წევრთა და მათ შემოწირულობისა: ილიკო გოცირიძე 50 მ., ივანე პეტრიაშვილი—50 მ., ვანო ფარსადანოვი 25 მ., ვანო ასლამაზაშვილი—100 მან., ვანო კალდელაშვილი 50 მ., სტეფანე მარტიროსიანცი 50 მ., საბა მელიძე 10 მან., ალექსი ასლამაზაშვილი 50 მ., ანდრია მეკერი 20 მ., დავით საზანაძე 20 მ., პავლე ეგოროვი 20 მ., დავით ზუიცა 20 მ., გრიშა გოცირიძე 50 მ., ლადილი ლ. მ. პეტრიაშვილი 10 მ., ნინა პეტრიაშვილი 10 მ., ვასილ ქრისტესიაშვილი 30 მ., ვასილ ადამაშვილი 50 მ., ვალი გასანოვი 20 მ., ვლადიმ ვაისერ 50 მ., გიორგი ბუჯიევი 50 მ., ალექსი ოგანეზოვი 20 მ., ხაჩატურ ქუჩუკიანცი 20 მ., დავით მამასახლისიანცი 25 მანეთი, სვეტლა გვარამე 30 მანეთი, დარჩო კალელაშვილი 20 მან., ბაგრატ არუტინოვი 50 მ., ლაზარ მატინიანცი 20 მ., იაკობ ბეკერი 10 მ., პავლე ბარანოვსკი 10 მ., დანიელ ერემენკო 10 მ., ეფრემ მარტიროსიანცი 50 მ., გაბრიელ ბეკერი 10 მ., სედრაკ მესროპიანცი 20 მ., რუბენ სააკიანცი 20 მ., ნიკოლოზ ელიკაშვილი 20 მ., მიხაილ ჩიკოლაევ 20 მ., გრიგოლ მჭედლიშვილი 10 მ., დათიკო მაისურაძე 10 მ., ბიქტორ მკერვალიძე 10 მ., რუბენ სარუხანოვი 20 მ., ზესა დემურიაშვილი 50 მ., იოსებ უნკვლიშვილი 50 მ., იოსებ გულიხანოვ 10 მ., ანდრია ავანესიანცი 20 მ., იაგორ იაკუტოვ 20 მ., თათეოზ პალიევ 50 მ., სვიმონ აბრამოვი 20 მ., მიკიჩ ავალოვი 20 მ., ალექსანდრე ერიმოვი 50 მ., ბაგრატ აივაზოვი 20 მ., სერგო ეგანოვი 10 მ.

ეტლის მფლობელთა და მეეტლეთა შორის.

მეეტლეთა პროფესიონალურ კავშირის საზოგადო კრებამ შეიმუშავა ეკონომიური და უფლებრივი ხასიათის მუხლები და დაავალა არჩეულ გამგეობის წარმომადგენლებს წარუდგინონ მთავრობას შემდეგი მოთხოვნილებანი: 1) იმ შემთხვევაში, თუ მეეტლეები განაწილებულ იქნებიან ეტლებთა განკარგულებაში, თანახმად იმ გეგმისა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს გამეეტლე განყოფილებათა რეორგანიზაცია, მიეცეთ მათ გადასახადებელი ჯილდო სამი თვის ჯამაგირის მიხედვით, დრო შინაურ საქმეების მოსაგვარებლად და ბინაური, ვიდრე ადგილობრივ არ მოხდება გამეეტლე განყოფილებათა რეორგანიზაცია. 2) მიეცეთ ჯამაგირის განსხვავება 1919 წლის ივლისიდან იმავე წლის 1 ნოემბრამდე, მიწად-მოქმედების სამინისტროს თანამდებობათა განაწილების მიხედვით, ხოლო 1919 წლის ნოემბრისთვის და ქრისტეშობისთვეებში ზემოხსენებულს უნდა მიემატოს დამატებითი ათ-ათი თუმანი თვეურათ. 3) გატარებულ იქნას კანონმდებლობით ამა წლის 1 იანვრიდან შემდეგი ჯამაგირები: უფროსს მეეტლეს 1 400 მ. თვეში. მეეტლეს 1.250 მან. მეეტლის თანაშემწეს 1 150 მან. მეჯინიბეს 950 მან. რემონტზე მომუშავეს 600 მან. 4) „კომანდიროვკის" დროს ყოველგვარი ხარჯი ფული, რომელიც მეეტლეთათვის, სახელდობრ: ჯამაგირი, გზის ხარჯი, ღამეური, მუდმივი მუშის დასაქირავებელი, ბინისა, გასათბობი და გასანათი მიეცეთ სამი თვისა წინდაწინ ავანსის სახით. 5) იმ შემთხვევაში, თუ მოხელე თანამდებობიდან დათხოვნილი იქნება, სალიკვიდაციო უნდა მიეცეს უკანასკნელ ჯამაგირის რაოდენობის მიხედვით, ორი თვისა განმავლობაში დღე დინ დათხოვნისა. 6) „კომანდიროვკის" დროის დღიურს იღებს 40 მან. 7) მინდორში მუშაობა უნდა გრძელდებოდეს საშუალოთ არა უმეტეს ექვსი თვისა, გარდა შემთხვევებისა, რომელიც გადადებას არ მოითხოვს. 8) დამატებითი საგნების შესაძენად: ბაირაბებისა, კანაფისა, ზანტისა და სხვა მეეტლეთ ინვენტარით მოუთხოვნელად 200 მან. „კომანდიროვკის" განმავლობაში, წინდაწინ მის გამგზავრებამდე. 9) მეეტლეები, მიუხედავად მათი ჯანმთელობისა და შინაური მდგომარეობისა სარგებლობენ დასვენებით წელიწადში ერთი თვით, ხოლო ორი თვით ორ წლის შემდეგ თვეური დათხოვნის სარგებლობის მიუხედავად. საზაფხულო მუშაობის დროს მინდორში დასვენების სარგებლობა ეძლევა ხანს წელიწადში ერთხელ. 10) მოხელეს მიღება და დათხოვნა, აგრეთვე შტატების რეორგანიზაციის მიხედვა შეეძლება შერეულ კომისიას, რომელშიაც შედის თანასწორი რიცხვი წარმომადგენელთა, მეეტლეთა პროფესიონალურ კავშირისგან და მთავრობისაგან, ნეიტრალურ პირის თავმჯდომარეობით.

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 12 აპრილს შესდგა საზოგადო კრება ს. ს. დ. მ. პარტიისა ტრამვაის მოძრაობის მუშებისა. კრებას დაესწრო 80 წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. წიტაიშვილი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) პროფესიონალური კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის კანდიდატების არჩევნები. 2) სომხური ს. დ. ორგანიზაციების დახმარება. პირველი საკითხის შესახებ მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. ცასაძემ. მან გააცნო კრებას მნიშვნელობა კავშირისა და მოუწოდა ამხანაგებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კანდიდატების არჩევნებს.

მოხსენების შემდეგ ადგილობრივმა ჩვენმა კოლექტივმა წარუდგინა კრებას სია ხათი კანდიდატებისა, რაც კრებამ ერთი ხმის უმრავლესობით მიიღო.

გამგეობის კანდიდატებათ არჩეულ იქნენ: მეიპარიანი, ლომაური, ლორია, დონჯაშვილი, თედეშვილი, გიორგაძე, გვარამაძე, ძეძისაშვილი, ვასაძე, შელიძე, ყოჩიშვილი.

სარევიზიო კომისიის კანდიდატებათ: წიტაიშვილი, ჩხარტიშვილი. მეორე საკითხის, სომხური ს. დ. ორგანიზაციების დახმარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მეიპარიანმა. მან აუხსნა კრებას თუ რა მნიშვნელობა აქვს მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატისთვის სომხურ ს. დ. ორგანიზაციების გაძლიერებას. მან გააცნო კრებას ამხ. ახატიანის მოხსენება. კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა მოხსენება, რის შემდეგ ერთხმათ მიიღო ამხანაგ ჩხარტიშვილის შემდეგი წინადადება: ყველა პარტიის წევრს მოძრაობის მუშებისას ერთდროულათ გამოერიცხოს ჯამაგირებიდან 10 მანეთი სომხურ ს. დ. ორგანიზაციების სასარგებლოდ.

ა. ჩ.

პროვინცია

მიქელ-გაბრიელის საზოგადოება.

მიქელ-გაბრიელის საზოგადოებამ იმ დროს მოასწრო ორ ნაწილად გაყოფა, როცა თვით დაყოფილი საზოგადოებები ცდილობენ ერთეულად გარდაქმნას, შეკავშირებას და კულტურულ გზისკენ მტკიცე ნიადაგის შექმნას. მიქელ-გაბრიელის საზოგადოების ყრილობა იყო გასულ თვეს, და მწვავე საკითხიც დაისვა გასარჩევად. საზოგადოების ნაწილმა მოითხოვა, რომ ცენტრი ამ საზოგადოებისა გამოერჩიათ და არსებული საზოგადოების სამმართველოს შენობა იქ ყოფილიყო გადატანილი. ნაწილი მიქელ-გაბრიელის საზოგადოებისა მოითხოვდა, რომ არსებული სამმართველოს ცენტრი დარჩენილიყო იქ, სადაც ეხლა არის. ორივე მხრით წამოყენებულმა ფაქტებმა ვერც ერთი მხრით ვერ გაიჭრა. „სამღვთომ" მარტო გადასწყვიტა ცალკე გამოყოფა, შეადგინეს მათთვის სამმართველო და აირჩიეს კაცები ერობასთან მოსალაპარაკებლად, ოზურგეთში გასაგზავნად. ამ ნაირად ერთი საზოგადოება ორ ნაწილათ გაიყო, მაგრამ ერობა რა შეხედულობას იქონიებს არ ვიცით. ასეთი დანაწილება საზოგადოებისა მომავალში კულტურულ ნიადაგის შესაქმნელათ რომ სუსტი იქნება, ეს ცხადზე უცხადესია.

ივანე გიორგაძე

წერილი რედ. მიმართ

ბათუმის ქართველთა ეროვნული საბჭო უღრმეს მადლობას უძღვნის ბათუმის მოქალაქეს ნესტორ გლაზუნის ძეს სიხარულიძეს, რომელმაც შემოსწირა ეროვნულ საბჭოს ათასი მანეთი.

ბათუმის ქართ. ერ. საბჭოს თავმჯდომარე გრ. ელიავა.

ჩვენი ფოსტა

ალი წიველ. გამოგზავნილი წერილის დასასრული, ისე ვერ გავიგეთ, დაიბეჭდება თუ არა.

აბაშა. ს. საბაშვილს. ზ. გურულის ადრესი: თფილისი, სასახლე, ს. დ. ფრაქცია.

განცხადებანი

ექიმი ნიკოლოზ ივანეს ძე
მახვილაძე
იღებს სპეციალურად—[illegible] და მისი შედეგებით დაავადებულთ, ხახვნის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე სადამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მიასკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლოს.

ინგლისური
შაბიამანი და ფხვნილი
გოგირდი იყიდება
ამხანაგობა „გოხალის" კანტორაში, ბაქო, ბარიატინსკის ქ. № 12. (1—1)

მჟავე კომბოსტო.
საქ. სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტი ჰყიდის მჟავე კომბოსტოს
ფუთს ხუთ მანეთად.
მისამართი: სატვირთო სადგური, თფილისი, საწყობი № 14. (8—8)

ექიმი
ვ. კლდიაშვილი
სპეციალურად: შინაგანი და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფები: მალარია, ტუბერკულიოზი, გულის, ფილტვების და ნაწლების სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. სახლის გარდა ღებულობს ავადმყოფებს ვეზლის საავადმყოფოში 1 საათ.—3 საათ. ბინის მისამართი: პეტროგრადის ქუჩა, კუთხე მიხაილოვის პროსპექტის, კირიჩნის ქუჩის მახლობლად ტელეფონი 8—48.

გაიხსნილია
კერძო სამკურნალო
მუდმივი საწოლებით
მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფნი.
მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფონი 5—97, ავადმყოფების მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია „914" და „606" შეშხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა. სტაციონალური ავადმყოფები მიიღებიან სრული პანსიონით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი ლოხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ნახ. საათამდე მიხეილის პროსპექტი № 141, (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო). მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელ. 5—97.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, შლეკისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სადიაგნოსტიკო და არსებითის ტიპის ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 25, ტელეფ. 7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმი
ვ. ნ. გოგიტიძისა
ყოფ. ორდინატორი ვენერ. კლინიკისა სამხ. სედ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, სიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606" და „914" შეშხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კაჩუბეევის ქუჩა, № 11.

ექიმი
მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალისა და სალოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—58.

ექიმი
ლ. ი. ცაგარელი
შინაგანი სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. პუშკინის ქუჩა, № 9.

ექიმი
ა. მ. პაატაშვილი
იღებს ბავშვთა შინაგან და სნეულებიან ავადმყოფებს ყოველდღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. გუნიბის ქ., № 48.

ექიმი
ქექელია
იღებს ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ (914, 606 შეშხაპუნება) მიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოვეს" პირდაპირ. ტელ. 14—28.

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, საშვებით და ქალურ სნეულებიან ავადმყოფთ დღისით 12—2 საათ. ნიკოლაევის ქ. № 7 სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

ექიმი ნ. ა. ზაზრანა.
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღის ქ. № 33.

ექიმი
ბესარიონი პოპოვი
განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 13—27.

ექიმი ქალი
რ. გ. შიშლო-საგაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საჩვენოდ დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექ. დ. ი. ჯაფარიძე
ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ბინა ვერა, გუნიბის ქ., № 41, ტელ. № 14—60.

განცხადება

კახეთის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა პირველ მაისიდან 1919 წლისა.

საათები ნაჩვენებია თფილისის დროით.

თფილისიდან—მილაანამდე.

საბარგო მატარებელი № 16 თფილისიდან გადის დილის 7 საათზე, მილაანში მიდის 12 საათზე და 50 წუთზე.

საბარგო მატარებელი № 15 მილაანში უერთდება საფოსტო მატარებელს № 3 და გამოდის იქიდან ნაშუადღევის 1 საათზე და 40 წუთზე.

თფილისიდან—თელავამდე.

საფოსტო № 4. თფილისიდან გადის დილის 10 საათზე, თელავში მიდის 7 ს. და 35 წ.

თელავიდან—თფილისამდე.

საფოსტო მატარ. № 3. თელავიდან გამოდის დილის 9 საათზე და 30 წუთზე მილაანში უერთდება საბარგო მატარებელს № 15 და მიდის თფილისში საღამოს 7 საათზე და 15 წუთზე.

გურჯაანიდან—წნორის-წყლამდე

მატარებელი № 6 გურჯაანიდან გადის საღამოს 6 საათზე, წნორის-წყალში მიდის—7 საათზე

წნორის-წყლიდან—გურჯაანამდე.

მატარებელი № 5 წნორის წყლიდან გამოდის დილის 9 საათზე და 50 წუთზე გურჯაანში მიდის—11 საათზე. (2—1)

მეოთხე რაიონული კოლექტივი

ს. ს. დ. მ. პ. აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ თანახმად 22 მარტის" რაიონის წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა, ყველა ის პირნი, რომელთაც არ განუახლებიათ მიმდინარე წელში პარტიის წევრობა—საწევრო გადასახადის შემოტანით ან და 5 მაისამდის არ განაახლებენ, ორგანიზაციიდან გამორიცხულად ჩაითვლებიან და მასთან, ვინც ზემოთ აღნიშნულ დროს განმავლობაში საწევრო ბარათებს უკან არ დააბრუნებს, მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება პარტიულ ორგანოებში და ბარათებიც გაუქმებულათ ჩაითვლება.

[illegible] სტამბა რუსთაველის, [illegible] № 1.